

სს „საქართველოს ბანკის“ და მისი  
შვილობილი კომპანიების  
კონსოლიდირებული ფინანსური  
ანგარიშგება

*2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს თარგმანს ინგლისურ ენაზე გამოცემული ორიგინალიდან

## სარჩევი

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგება  
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება  
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება  
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა
2. მომზადების საფუძველი
3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა
4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები
5. ბიზნესის გაერთიანება
6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ
7. ფული და ფულის ეკვივალენტები
8. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ
9. კლიენტებზე გაცემული სესხები
10. მოთხოვნები ფინანსური იჯაროდან
11. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები
12. ინვესტიციები მოკავშირე საწარმოებში
13. საინვესტიციო ქონება
14. ძირითადი საშუალებები
15. „გუდვილი“ და სხვა არამატერიალური აქტივები
16. გადასახადები
17. სხვა გაუფასურების რეზერვები
18. სხვა აქტივები და ვალდებულებები
19. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე
20. ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე
21. კაპიტალი
22. პირობითი ვალდებულებები
23. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან
24. წმინდა სადაზღვევო შემოსავალი
25. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა შემოსავალი, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები
26. წილობრივი გადახდები
27. რისკების მართვა
28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება
29. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვალიანობის ანალიზი
30. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები
31. კაპიტალის ადეკვატურობა
32. საბალანსო ანგარიშგების მომზადების შემდგომი გარემოებები

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს ბანკ“-ის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს –

ჩვენ ჩავატარეთ სს „საქართველოს ბანკის“ და მისი შვილობილი კომპანიების თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშგებას 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ისევე როგორც სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

### *ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ასეთი პასუხისმგებლობა მოიცავს: უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენის მიზნით შიდა კონტროლის სისტემების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას და ისეთი სააღრიცხვო შეფასებების შემუშავებას, რომლებიც მისაღებია კონკრეტული ვითარებისთვის.

### *აუდიტორის პასუხისმგებლობა*

ჩვენ ვაღდებულნი ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს ეთიკური ნორმების დაცვას, აგრეთვე, აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას გარანტია, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობას.

აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამიზნულია მტკიცებულების მოპოვებაზე ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხებისა და მონაცემების თაობაზე. შერჩეული მეთოდოლოგია დამოკიდებულია აუდიტორთა მოსაზრებაზე, მათ შორის, არსებითი უზუსტობის რისკის შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიედ თუ განზრახ. იმისათვის, რომ შეიმუშაოს ვითარებისა და გარემოების შესატყვისი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ სისტემებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

დარწმუნებულნი ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული რწმუნება საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისათვის.

### *დასკვნა*

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს სს საქართველოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

31 მარტი, 2009 წ.

**კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგება**

**2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2008	2007
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	397,591	405,770
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	8	99,633	154,560
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	2,039,022	1,675,681
მოთხოვნები ფინანსური იჯაროდან	10	41,605	46,674
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:			
- გასაყიდად არსებული	11	33,737	42,387
- დაფარვის ვადაზე შენარჩუნებული	11	22,845	192,464
ინვესტიციები მოკავშირე საწარმოებში	12	16,716	5,208
საინვესტიციო ქონება	13	47,289	35,065
ძირითადი საშუალებები	14	301,784	204,656
„გუდვილი“ და სხვა არამატერიალური აქტივები	15	152,459	115,989
მიმდინარე და გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები		12,786	1,557
წინასწარი გადახდები		18,319	5,942
სხვა აქტივები	18	75,121	67,658
<b>სულ აქტივები</b>		<b>3,258,907</b>	<b>2,953,611</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	19	1,216,722	901,795
ვალდებულებები მენაბრეთა წინაშე	20	1,193,124	1,355,476
მიმდინარე და გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებები	16	24,394	37,209
რეზერვები	17,22	4,263	1,003
სხვა ვალდებულებები	18	101,555	100,137
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>2,540,058</b>	<b>2,395,620</b>
<b>კაპიტალი</b>	21		
საწესდებო კაპიტალი		31,253	27,155
დამატებით შეტანილი კაპიტალი		468,732	315,415
სახაზინო აქციები		(2,018)	(1,737)
სხვა რეზერვები		26,201	67,354
გაუნაწილებელი მოგება		141,491	136,342
<b>ბანკის აქციონერების მთლიანი კაპიტალი</b>		<b>665,659</b>	<b>544,529</b>
უმცირესობის წილი		53,190	13,462
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>718,849</b>	<b>557,991</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>3,258,907</b>	<b>2,953,611</b>

**ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია ბანკის მმართველთა საბჭოს მიერ**

ირაკლი გილაური

აღმასრულებელი დირექტორი

დავით ვახტანგიშვილი

ფინანსური დირექტორი

2009 წლის 31 მარტი

**მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათას ლარში)

	<b>შენიშვნა</b>	<b>2008</b>	<b>2007</b>
<b>საპროცენტო შემოსავალი</b>			
კლიენტებზე გაცემული სესხები		363,013	203,759
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები – დაფარვის ვადამდე შენარჩუნებადი		16,457	23,394
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		10,732	9,942
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან		7,010	4,136
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები – გასაყიდად არსებული		6,727	1,073
		<b>403,939</b>	<b>242,304</b>
<b>საპროცენტო ხარჯი</b>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		(97,035)	(58,072)
ვალდებულებები მენაბრეთა წინაშე		(85,358)	(53,419)
სასესხო ფასიანი ქაღალდები		(706)	(594)
		<b>(183,099)</b>	<b>(112,085)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დარიცხვამდე</b>		<b>220,840</b>	<b>130,219</b>
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების დანარიცხი	9	(122,812)	(17,409)
ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების გაუფასურების დანარიცხი	10	(1,335)	(708)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების დარიცხვის შემდგომ</b>		<b>96,693</b>	<b>112,102</b>
შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან		63,503	48,358
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი		(13,534)	(6,610)
<b>წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან</b>	23	<b>49,969</b>	<b>41,748</b>
სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული წმინდა (ზარალი) მოგება		(5,447)	2,930
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული წმინდა მოგება	21	513	2,481
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული წმინდა (ზარალი) მოგება	13	(389)	16,362
უხოური ვალუტიდან მიღებული წმინდა მოგება:			
- ოპერაციები		39,443	22,395
- საკურსო სხვაობები		7,691	4,315
წმინდა გამომუშავებული სადაზღვევო პრემიები	24	35,911	14,260
მოკავშირე საწარმოების (ზარალის) მოგების წილი	12	(713)	137
სხვა საოპერაციო შემოსავალი		14,747	9,766
<b>სხვა არა-საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>91,756</b>	<b>72,646</b>
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა შემოსავალი	25	(108,767)	(75,639)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	25	(68,649)	(36,164)
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	14, 15	(20,532)	(9,863)
სადაზღვევო სარჩელებიდან წმინდა ანაზღაურებული თანხა	24	(26,895)	(8,799)
გაუფასურების (ხარჯი) შებრუნება სხვა აქტივებზე და რეზერვებზე	17	(4,551)	365
სხვა საოპერაციო ხარჯი		(9,828)	(6,684)
<b>სხვა არა-საპროცენტო ხარჯი</b>		<b>(239,222)</b>	<b>(136,784)</b>
<b>(ზარალი) მოგება საშემოსავლო გადასახადის სარგებლამდე (ხარჯამდე)</b>		<b>(804)</b>	<b>89,712</b>
საშემოსავლო გადასახადის სარგებელი (ხარჯი)	16	978	(14,070)
<b>მოგება წლის განმავლობაში</b>		<b>174</b>	<b>75,642</b>
<b>განკუთვნილი:</b>			
- ბანკის აქციონერებისადმი		3,897	72,484
- უმცირესობის წილისადმი		(3,723)	3,158
		<b>174</b>	<b>75,642</b>
<b>მოგება ერთ აქციაზე:</b>	21		
- ბაზისური მოგება ერთ აქციაზე		0,129	2,958
- განზავებული მოგება ერთ აქციაზე		0,129	2,947

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სს „საქართველოს ბანკი“ და მისი შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	განეკუთვნება ბანკის აქციონერებს							
	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	სახაზინო აქციები	სხვა რეზერვები	გაუნაწილებე ლი მოგება	ჯამი	უმცირესობის წილი	სულ კაპიტალი
<b>31 დეკემბერი, 2006</b>	25,202	277,440	(1,004)	5,257	63,746	370,641	4,217	374,858
წმინდა ცვლილება გასაყიდად არსებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებში, გადასახადების გარეშე	-	-	-	859	-	859	-	859
ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების გადაფასება, გადასახადების გარეშე	-	-	-	59,295	-	59,295	964	60,259
საწესდებო კაპიტალის ზრდა აქციებით წარმოებული გადახდების საფუძველზე (შენიშვნა 21)	146	948	-	-	-	1,094	-	1,094
გადაფასების რეზერვის ცვეთა, გადასახადების გარეშე	-	-	-	(112)	112	-	-	-
აქციის შეთავაზებული ღირებულების კორექტირება	-	1,321	-	-	-	1,321	-	1,321
საკურსო სხვაობები	-	-	-	2,055	-	2,055	-	2,055
<b>პირდაპირ კაპიტალში აღიარებული მთლიანი შემოსავალი და ხარჯი</b>	<b>146</b>	<b>2,269</b>	<b>-</b>	<b>62,097</b>	<b>112</b>	<b>64,624</b>	<b>964</b>	<b>65,588</b>
2007 წლის მოგება	-	-	-	-	72,484	72,484	3,158	75,642
<b>წლის შემოსავალი და ხარჯი სულ</b>	<b>146</b>	<b>2,269</b>	<b>-</b>	<b>62,097</b>	<b>72,596</b>	<b>137,108</b>	<b>4,122</b>	<b>141,230</b>
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 21)	1,807	37,751	-	-	-	39,558	-	39,558
დამატებითი წილის შექმნა არსებულ შვილობილ კომპანიებში უმცირესი წილის მფლობელთა მიერ	-	-	-	-	-	-	3,494	3,494
უმცირესობის წილის შექმნა არსებულ შვილობილ კომპანიებში უმცირესობის წილი, რომლებიც წარმოიქმნება შვილობილი კომპანიის შექმნისას	-	-	-	-	-	-	1,716	1,716
სახაზინო აქციების გაყიდვა	-	9,600	-	-	-	9,600	-	9,600
სახაზინო აქციების შექმნა	-	(11,645)	(733)	-	-	(12,378)	-	(12,378)
<b>31 დეკემბერი, 2007</b>	<b>27,155</b>	<b>315,415</b>	<b>(1,737)</b>	<b>67,354</b>	<b>136,342</b>	<b>544,529</b>	<b>13,462</b>	<b>557,991</b>
წმინდა ცვლილება გასაყიდად არსებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებში, გადასახადების გარეშე	-	-	-	(8,670)	-	(8,670)	-	(8,670)
ძირითადი საშუალებების გადაფასება, გადასახადების გარეშე	-	-	-	(8,796)	-	(8,796)	-	(8,796)
ბიზნესის გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი აქციების გამოშვება (შენიშვნა 21)	89	573	-	-	-	662	-	662
აქციებით წარმოებული გადახდებიდან წარმოქმნილი საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 21)	9	8,590	341	-	-	8,940	-	8,940
გადაფასების რეზერვის ცვეთა, გადასახადების გარეშე	-	-	-	(1,252)	1,252	-	-	-
აქციების შეთავაზებული ღირებულების კორექტირება	-	(357)	-	-	-	(357)	-	(357)
საკურსო სხვაობები	-	-	-	(22,435)	-	(22,435)	-	(22,435)

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სს „საქართველოს ბანკი“ და მისი შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

პირდაპირ კაპიტალში აღიარებული  
 შემოსავალი და ხარჯი სულ

	98	8,806	341	(41,153)	1,252	(30,656)	–	(30,656)
2008 წლის შემოსავალი სულ მოგება-ზარალი წლის განმავლობაში	–	–	–	–	3,897	3,897	(3,723)	174
საწესდებო კაპიტალის ზრდა GDR- ის გამომწვევებით (შენიშვნა 21) დამატებითი წილის შექმნა არსებულ შვილობილ კომპანიებში უმცირესი წილის მფლობელთა მიერ	4,000	146,594	–	–	–	150,594	–	150,594
უმცირესობის წილის წარმოქმნა შვილობილი კომპანიის შექმნით	–	–	–	–	–	–	12,173	12,173
სახაზინო აქციების გაყიდვა	–	5,544	256	–	–	5,800	–	5,800
სახაზინო აქციების შექმნა	–	(7,627)	(878)	–	–	(8,505)	–	(8,505)
<b>31 დეკემბერი, 2008</b>	<b>31,253</b>	<b>468,732</b>	<b>(2,018)</b>	<b>26,201</b>	<b>141,491</b>	<b>665,659</b>	<b>53,190</b>	<b>718,849</b>

**2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათას ლარში)

	<b>შენიშვნა</b>	<b>2008</b>	<b>2007</b>
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მიღებული პროცენტი		384,802	234,083
გადახდილი პროცენტი		(173,534)	(88,027)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო		63,503	48,357
გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო		(13,534)	(6,608)
საეჭრო ფასიანი ქაღალდებიდან წმინდა რეალიზებული (ზარალი) მოგება		(5,432)	2,764
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან წმინდა რეალიზებული მოგება		498	2,481
უცხოური ვალუტიდან წმინდა რეალიზებული მოგება		39,443	22,395
კლიენტებზე გაცემული სესხების ამოღება	9	11,176	7,918
მიღებული სადაზღვეო პრემიები		24,262	19,336
ანაზღაურებული სადაზღვეო მოთხოვნები		(11,095)	(6,554)
სხვა მიღებული საოპერაციო შემოსავალი		11,499	9,504
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა შემოსავალი		(106,605)	(53,838)
გადახდილი საერთო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯი		(62,174)	(41,298)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>162,809</b>	<b>150,513</b>
<i>წმინდა (ზრდა) კლება საოპერაციო აქტივებში</i>			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		62,312	(82,753)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(488,574)	(774,471)
მოთხოვნები ფინანსური იჯაროდან		3,722	(38,078)
წინასწარი გადახდები და სხვა აქტივები		(3,678)	(17,672)
<i>წმინდა (ზრდა) კლება საოპერაციო ვალდებულებებში</i>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		339,654	604,576
ვალდებულებები მენაბრეთა წინაშე		(211,774)	537,984
სხვა ვალდებულებები		(9,813)	2,970
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (საოპერაციო საქმიანობაში) საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრამდე</b>		<b>(145,342)</b>	<b>383,069</b>
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი		(19,580)	(3,854)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (საოპერაციო საქმიანობაში)</b>		<b>(164,922)</b>	<b>379,215</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
შვილობილი კომპანიების შექმნა, მიღებული ნაღდი ფულის გარეშე	5	(41,740)	(12,256)
შემოსავალი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან		166,175	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შექმნა		-	(11,838)
მოკავშირე საწარმოებში ინვესტიციების შექმნა	12	(13,355)	(5,275)
მოკავშირე საწარმოთა ინვესტიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	12	860	700
საინვესტიციო ქონების შექმნა	13	(12,613)	(10,499)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შექმნა	14,15	(122,881)	(74,238)
<b>საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(23,554)</b>	<b>(113,406)</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>			
საწესდებო კაპიტალის ზრდით მიღებული შემოსავალი		150,594	38,908
სახაზინო აქციების შექმნა		(8,505)	(11,728)
სახაზინო აქციების გაყიდვა		5,800	9,600
დამატებითი წილის შექმნა უმცირესი წილის მფლობელთა მიერ		31,794	3,494
დამატებითი წილის შექმნა არსებულ შვილობილ კომპანიებში, მიღებული ნაღდი ფულის გარეშე		-	303
შემოსავალი სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან		-	(9,045)
გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა		(4,988)	49
<b>წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>		<b>174,695</b>	<b>31,581</b>
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		5,602	335
<b>ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა (კლება) ზრდა</b>		<b>(8,179)</b>	<b>297,725</b>
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები, წლის დასაწყისი</b>		<b>405,770</b>	<b>108,045</b>
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები, წლის ბოლო</b>	7	<b>397,591</b>	<b>405,770</b>

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



(ათას ლარში)

**1. ძირითადი საქმიანობა**

სს „საქართველოს ბანკი“ („ბანკი“) დაფუძნდა 1994 წლის 21 ოქტომბერს, სააქციო საზოგადოების სახით („სს“), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი ადრე ცნობილი იყო, როგორც სახელმწიფო ბანკი „ბინსოცბანკი“. ბანკი ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სეპ“; საქართველოს ცენტრალური ბანკი) მიერ 1994 წლის 15 დეკემბერს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე. ბანკი არის საქართველოში, უკრაინაში, ბელორუსიაში, კვიპროსში, მოლდოვასა და აზერბაიჯანში რეგისტრირებული კომპანიათა ჯგუფის („ჯგუფი“) პარტნიორი. მისი უმთავრესი საქმიანობაა საბანკო, სალიზინგო, სადაზღვევო, საბროკერო საქმიანობები, აქტივებისა და ქონების მართვის მომსახურების გაწევა კორპორაციული და ინდივიდუალური კლიენტებისათვის. ჯგუფის შემადგენელი კომპანიების სია მოცემულია მე-2 შენიშვნაში. ბანკი წარმოადგენს ჯგუფის მთავარ საოპერაციო ერთეულს და ანგარიშვალდებულია ჯგუფის უმეტეს საქმიანობაზე.

ბანკი საზოგადოებისგან იღებს დეპოზიტებს, გასცემს კრედიტს, ახორციელებს გადარიცხვებს როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლას. მისი სათაო ოფისი მდებარეობს საქართველოში, თბილისში. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს 151 საოპერაციო ობიექტი საქართველოს ყველა დიდ ქალაქში (2007:117). ბანკის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0105, ჭავჭავაძის ქუჩა №3.

2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვემოთ ჩამოთვლილი აქციონერები ფლობდნენ ბანკის გამოშვებული აქციების 4%-ზე მეტს. სხვა აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ გამოშვებული აქციების 4%-ზე ნაკლებს.

აქციონერი	31 დეკემბერი 2008 %	31 დეკემბერი, 2007 %
Bank of New York (Nominees), Limited	77.45%	71.38%
Firebird Avrora Fund	4.68%	5.39%
Firebird Republics Fund	4.58%	5.27%
East Capital Financial Institutions	4.37%	5.03%
სხვები (ცალ-ცალკე 5%-ზე ნაკლები)	8.92%	12.93%
<b>ჯამი</b>	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრებს ეკუთვნის ბანკის 468,827 აქცია და გლობალური სადეპოზიტო ქვითრების (“GDRs”) 1.500%; (2007: 214,146 აქცია და GDRs 0.787%). სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრების წილი შემდეგია:

აქციონერი	31 დეკემბერი 2008 ფლობილი აქციები	31 დეკემბერი 2007 ფლობილი აქციები
სულხან გვალია	166,907	188,050
ირაკლი გილაური	136,303	1,587
ნიკოლოზ ენუქიძე	75,377	1,045
რამაზ კუკულაძე	52,092	23,094
ავთო ნამიჩიშვილი	12,489	–
ალან ჰირსთი	10,685	–
ირაკლი ბურდილაძე	10,036	370
კახა კიკნაველიძე	4,938	–
<b>ჯამი</b>	<b>468,827</b>	<b>214,146</b>

ფლობილი აქციების გარდა, სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველთა საბჭოს წევრებს მიენიჭათ 198,139 და 244,617 გლობალური სადეპოზიტო ქვითრები (“GDR”) 2008 და 2007 წლებში შესაბამისად. მათი მინიჭება ხორციელდება სამი წლის მანძილზე. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველთა საბჭოს წევრების ფლობილი 313,330 GDR გადაცემული იყო და შედგებოდა: (2007 წელს: 31,665):

(ათას ლარში)

**1. ძირითადი საქმიანობა (გაგრძელება)**

სამეთვალყურეო საბჭოს და/ან მმართველთა საბჭოს წევრი	31 დეკემბერი 2008 გადაცემული GDRs	31 დეკემბერი 2007 გადაცემული GDRs
ირაკლი გილაური	134,716	16,666
ნიკოლოზ ენუქიძე	74,332	–
რამაზ კუკულაძე	52,092	1,666
სულხან გვალია	26,857	13,333
ავთო ნამიჩიშვილი	11,667	–
ირაკლი ბურდილაძე	9,666	–
კახა კიკნაველიძე	4,000	–
<b>ჯამი</b>	<b>313,330</b>	<b>31,665</b>

**2. მომზადების საფუძველი**

**შესავალი**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“).

ბანკს და საქართველოში დაფუძნებულ მის შვილობილ კომპანიებს კანონმდებლობით მოეთხოვებათ, რომ დოკუმენტაცია აწარმოონ და ფინანსური ანგარიშგება მოამზადონ ლარში „ფასს“-ს შესაბამისად, მაშინ როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფუძნებული ფილიალები შესაბამისი ადგილობრივი ვალუტებით ფუნქციონირებენ. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით, გარდა სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდებისა, საინვესტიციო ქონებისა და გადაფასებული ძირითადი საშუალებებისა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“), თითო აქციის ღირებულების გარდა, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

**შვილობილი კომპანიები**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ პირდაპირ და არაპირდაპირ შვილობილ კომპანიებს:

(ათას ლარში)

**2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**

**შვილობილი კომპანიები (გაგრძელება)**

შვილობილი კომპანიები	საკუთრება / ხმის უფლება %		რეგისტრირებული უფლი	საქმიანობა	რეგისტრაციის თარიღი	შექმენის თარიღი
	31 დეკემბერი, 2008	31 დეკემბერი, 2007				
სს „ბი-ჯი ბანკი“ (ყოფილი განვითარებისა და თანამშრომლობის გაერთიანებული ბანკი)	99.4%	98.8%	უკრაინა	საბანკო საქმე	26/01/1994	01/10/2007
შპს „ვალიმედი“	100.0%	-	ბელორუსია	ინვესტირება	14/09/2000	03/06/2008
სს „ბელარუსსკი ნაროდნი ბანკი“	70.0%	-	ბელორუსია	საბანკო საქმე	16/04/1992	03/06/2008
შპს „ბი-ენ-ბი ლიზინგი“	76.0%	-	ბელორუსია	ლიზინგი	30/03/2006	03/06/2008
სს „გალტ ენდ თაგართ სექურითიზ“	100.0%	100.0%	საქართველო	საბროკერო საქმე და აქტივების მართვა	19/12/1995	28/12/2004
სს „კაეკასიის ენერჯეტიკა და ინფრასტრუქტურა“	(c)	100.0%	საქართველო	ინვესტირება	07/06/2007	-
შპს „გალტ ენდ თაგართ თექს ედვაისორი“	100.0%	100.0%	საქართველო	საგადასახადო კონსალტინგი	25/09/2007	-
„გალტ ენდ თაგართ პოლდინგს ლიმიტედ“	100.0%	100.0%	კვიპროსი	ინვესტირება	03/07/2006	-
„გალტ ენდ თაგართ თრედიინგ ლიმიტედ“	100.0%	100.0%	კვიპროსი	ინვესტირება	26/03/2007	-
სს „გალტ ენდ თაგართ სექურითიზ, სს“ (მოლდოვა)	95.1%	-	მოლდოვა	ინვესტირება	07/07/2008	-
შპს „გალტ ენდ თაგართ სექურითიზ“ (უკრაინა)	100.0%	100.0%	უკრაინა	საბროკერო საქმე	23/10/2006	-
შპს „გალტ ენდ თაგართ სექურითიზ“ (ბელორუსია)	100.0%	-	ბელორუსია	საბროკერო საქმე	19/02/2008	-
„ბრუქსბაი ინვესთმენტს ლიმიტედ“	100.0%	-	კვიპროსი	ინვესტირება	04/03/2008	18/06/2008
შპს „გალტ ენდ თაგართ სექურითიზ MMC“	75.0%	-	აზერბაიჯანი	ინვესტირება, საბანკო და საბროკერო საქმე	30/06/2008	-
GTAM ლიმიტედ	80.0%	80.0%	კვიპროსი	საინვესტიციო საქმიანობა	23/10/2007	-
შპს „გალტ ენდ თაგართ ესეთ მენეჯმენტი“	100.0%	100.0%	საქართველო	აქტივების მართვა	31/05/2007	-
სს „ბელორუსიან ინვესთმენტს“	100.0%	-	საქართველო	სამომხმარებლო საქონლის წარმოება და დისტრიბუცია	14/05/2008	-
სს „ლიბერთი ფაინანშლ ოფორთუნითიზ“	100.0%	-	საქართველო	ინვესტირება	03/09/2008	-
სს „გალტ ენდ თაგართ პოლდინგს“	100.0%	-	საქართველო	ინვესტირება	04/11/2008	-

(ათას ლარში)

**2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**

**შვილობილი კომპანიები (გაგრძელება)**

შვილობილი კომპანიები	საკუთრება / ხმის უფლება		რეგისტრაციის ქვეყანა	საკმთანობა	რეგისტრაციის თარიღი	შექმნის თარიღი
	31 დეკემბერი, 2008 წ.	31 დეკემბერი, 2007 წ.				
სს „ლიბერთი ქონსიუმა“ (ყოფილი სს „გალთ ენდ თავართ ქეფითალი“)	65.4%	71.6%	საქართველო	ინვესტირება	24/05/2006	-
სს „ეს-ბი რიალ ისთეითი“ შპს „ვერეკ“	52.1%	100.0%	საქართველო	უძრავი ქონება	27/09/2006	-
შპს „ალეგრო“	100.0%	100.0%	საქართველო	უძრავი ქონება	22/05/1996	06/02/2007
შპს „ალეგრო“	100.0%	-	საქართველო	კომერციული	09/09/1996	12/03/2008
სს „ეს-ბი აუთდორ&ინდორ“	100.0%	100.0%	საქართველო	სარეკლამო	09/06/2006	-
შპს „ინტერტური“	83.6%	83.6%	საქართველო	ტურისტული სააგენტო	29/03/1996	25/04/2006
შპს „ჰოლიდეი თრეველი“	100.0%	100.0%	საქართველო	ტურისტული სააგენტო	11/02/2005	04/09/2006
სს „ფრაიმ ფიტნესი“	100.0%	100.0%	საქართველო	ფიტნეს-ცენტრი	03/07/2006	-
შპს „მეტრონეტი“	100.0%	100.0%	საქართველო	საკომუნიკაციო მომსახურება	23/04/2007	-
შპს „ეს-ბი ტრანსპორტი“	100.0%	100.0%	საქართველო	ტრანსპორტირება	20/02/2007	-
შპს „რიალ ისთეით ბროკერიჯ-პრესტი“	100.0%	100.0%	საქართველო	უძრავი ქონების საბროკერო მომსახურება	16/11/2007	-
სს „ეს-ბი იმობილია“	100.0%	-	საქართველო	უძრავი ქონების სამშენებლო კომპანია	12/03/2008	-
სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბი-სი-აი“	100.0%	100.0%	საქართველო	დაზღვევა	22/06/2007	-
სს „ჩემი ოჯახის კლინიკა“	100.0%	100.0%	საქართველო	ჯანდაცვა	03/10/2005	-
სს „ქუთაისის წმინდა ნიკოლოზის ქირურგიული საავადმყოფო“	55.0%	-	საქართველო	სამედიცინო მომსახურება	03/11/2000	20/05/2008
შპს „ქართული სალიზინგო კომპანია“	100.0%	100.0%	საქართველო	ლიზინგი	29/10/2001	31/12/2004
სს „დი-ბი-ელ ჯი“	100.0%	100.0%	საქართველო	ინვესტირება	23/04/2007	-
სს „დი-ბი-ელ ქეფითალი“	100.0%	100.0%	საქართველო	საბროკერო მომსახურება	27/04/2007	-
შპს „თავაზი“	(b)	100.0%	საქართველო	საბროკერო მომსახურება	31/03/2001	20/04/2006
შპს „ჰეჯი“	(b)	100.0%	საქართველო	საბროკერო მომსახურება	22/05/2002	17/04/2006
შპს „ჯორჯიან სექურითიზ“	(b)	100.0%	საქართველო	საბროკერო მომსახურება	19/06/2000	08/10/2007
შპს „ქართული საბროკერო კომპანია“	(b)	100.0%	საქართველო	საბროკერო მომსახურება	23/06/1999	21/12/2006
შპს „ჯი-სი ჰოლდინგზ“	100.0%	100.0%	საქართველო	ინვესტირება	29/10/2007	-
შპს „ჯი-სი უკრაინა“	100.0%	-	უკრაინა	ბარათების დამზადება	30/07/2008	-
სს „ჯორჯიან ქარდი“	55.7%	55.7%	საქართველო	ბარათების დამზადება	17/01/1997	20/10/2004
სს „ნოვა ტექნოლოჯი“	51.0%	51.0%	საქართველო	ელექტრონული საგადასახადო მომსახურება	19/03/2007	11/11/2007
შპს „დაირექტ დებით ჯორჯია“	100.0%	100.0%	საქართველო	ელექტრონული საგადასახადო მომსახურება	07/03/2006	-

(ათას ლარში)

**2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**

**შვილობილი კომპანიები (გაგრძელება)**

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატურა“	100.0%	-	საქართველო რეგისტრატურა	29/05/2006	-
სს „ე-ბი რეესტრის“	(a)	100.0%	საქართველო რეგისტრატურა	29/05/2006	-
შპს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატურა“	(a)	100.0%	საქართველო რეგისტრატურა	25/01/1999	30/09/2006
შპს „კლუბი 24“	100.0%	100.0%	საქართველო გასართობი ცენტრი	27/11/2007	-
სს „ე-ბი თრეიდი“	100.0%	100.0%	საქართველო იმპორტი და დისტრიბუცია	26/02/2007	-
შპს „მეტრო სერვის +“	100.0%	100.0%	საქართველო ბიზნეს მომსახურება	10/05/2006	-
სს „გალთ ენდ თაგართ ბანკი“	(d)	100.0%	საქართველო საბანკო საქმე	30/12/1996	31/05/2007

- (ა) შპს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატურა“ (შვილობილი კომპანია) 2008 წელს შეერწვა სს „ე-ბი რეესტრის“ (მშობელი კომპანია). სს „ე-ბი რეესტრის“ სახელწოდება შეიცვალა და გახდა სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატურა“
- (ბ) 2008 წელს შეერწვა სს „დი-ბი-ელ ქეფითაი“-ს
- (გ) 2008 წელს გაყიდვის შედეგად აღარ წარმოადგენდა ჯგუფის შვილობილ კომპანიას
- (დ) 2008 წელს შეერწვა სს „საქართველოს ბანკს“

**3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

**ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება**

წლის განმავლობაში ჯგუფმა მიიღო შემდეგი შესწორებული „ფასს“ და ახალი ფაისკ ინტერპრეტაციები. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგებია:

*ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია – ბასს 39 “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება” და ფასს 7 “ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები”*

ბასს 39-ის და ფასს 7-ის ცვლილებები გამოცემულ იქნა 2008 წლის 13 ოქტომბერს და აღნიშნული ცვლილებებით, რიგ შემთხვევებში შესაძლებელია არაწარმოებული ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია სავაჭროდ ფლობილი კატეგორიიდან. ცვლილებებით ასევე ნებადართულია რიგი ფინანსური აქტივების გადატანა გასაყიდად არსებული კატეგორიიდან სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში. აღნიშნული ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღია 2008 წლის 1 ივლისი. ნებისმიერი რეკლასიფიკაცია განხორციელებული 2008 წლის 1 ნოემბრიდან ან მის შემდგომ, ძალაში უნდა შევიდეს მხოლოდ რეკლასიფიკაციის თარიღიდან.

თუ სავაჭროდ ფლობილად კლასიფიცირებული არაწარმოებული ფინანსური აქტივი აღარ არის უახლოეს მომავალში გასაყიდად გამიზნული, შესაძლებელია მისი რეკლასიფიკაცია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის კატეგორიის გავლით, შემდეგ შემთხვევებში:

- ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებულ იქნას სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაზე, თუ ჯგუფს აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის დადგომამდე;
- იშვიათ შემთხვევებში, სხვა ფინანსური აქტივები შესაძლოა რეკლასიფიცირებულ იქნას გასაყიდად არსებულ ან დაფარვის ვადამდე შენარჩუნებად კატეგორიებზე.

გასაყიდად არსებულად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებულ იქნას სესხებისა და მოთხოვნებზე, თუ ჯგუფს აქვს განზრახვა და შესაძლებლობა, შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის დადგომამდე;

(ათას ლარში)

**3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)**

ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია ხდება მისი სამართლიანი ღირებულებით რეკლასიფიკაციის თარიღისათვის. არ ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ნებისმიერი მოგების ან ზარალის შეტრუნება. ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისათვის წარმოადგენს მის ახალ ღირებულებას ან ამორტიზებულ ღირებულებას შესაბამისად.

ჯგუფს არ მოუხდენია ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია სავაჭროდ ფლობილი ან გასაყიდად არსებული კატეგორიებიდან, და შესაბამისად, ეს ცვლილებები არავითარ ზემოქმედებას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა ან საქმიანობაზე.

*ფაისკ 11 ფასს 2 – “ჯგუფი და სახაზინო აქციებით წარმოებული ოპერაციები”*

ფაისკ ინტერპრეტაცია 11 ძალაში შევიდა 2007 წლის 1 მარტიდან ან მის შემდგომ დაწვებული წლიური პერიოდებისათვის და მოითხოვს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელთა საფუძველზეც თანამშრომელს უფლება ენიჭება კომპანიის კაპიტალის ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება განიხილოს, როგორც კაპიტალის დადგენილი სქემა, თუნდაც კომპანიამ შეიძინოს ინსტრუმენტები სხვა მხარისაგან, ან აქციონერებმა უზრუნველყონ კაპიტალის საჭირო ინსტრუმენტები. ეს ინტერპრეტაცია ზემოქმედებას არ ახდენს ჯგუფზე.

*ფაისკ 14 “ბასს 19 – ზღვარი განსაზღვრულ მოგების მქონე აქტივზე, მინიმალური დაფინანსების მოთხოვნები და მათი ურთიერთქმედება”*

ფაისკ ინტერპრეტაცია 14 გამოიცა 2007 წლის ივლისში და ძალაში შევიდა 2008 წლის 1 იანვრიდან და მის შემდგომ დაწვებული წლიური პერიოდებისათვის. ეს ინტერპრეტაცია განმარტავს, თუ როგორ უნდა შეფასდეს მეტობის ზღვარი განსაზღვრული მოგების მქონე სქემაში, რომელიც შეიძლება აღიარებულ იქნას როგორც აქტივი ბასს-19 – ის „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“ შესაბამისად. ეს ინტერპრეტაცია ზემოქმედებას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობაზე.

**რეკლასიფიკაციები**

2008 წელს წარდგენის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, 2007 წლის ნაშთებთან დაკავშირებით განხორციელდა შემდეგი რეკლასიფიკაციები:

სათაური	უწინ განცხადებული	რე- კლასიფიცირებული	შენიშვნა
<b>კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგება:</b>			
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	6,342	–	რეკლასიფიცირებულია სხვა აქტივებზე არაარსებითი ნაშთის გამო
სხვა აქტივები	61,316	67,658	მოიცავდა სავაჭრო ფასიან ქაღალდებს
გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები	4,993	–	რეკლასიფიცირებულია სხვა ვალდებულებებზე არაარსებითი ნაშთის გამო
სხვა ვალდებულებები	95,144	100,137	მოიცავდა გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს
<b>მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება</b>			
გაუფასურების დანარიცხი ფინანსური იჯარიდან მოთხოვნებზე	–	(708)	წარმოდგენილია სხვა საოპერაციო ხარჯებისგან დამოუკიდებლად, ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების გაუფასურებასთან დაკავშირებული გაზრდილი საკრედიტო რისკების გამო

(ათას ლარში)

სხვა საოპერაციო ხარჯები	(7,392)	(6,684)	რეკლასიფიცირებული და ცალკე ნაწვენები გაუფასურების დანარცხი ფინანსური იჯარიდან მოთხოვნებზე
მოკავშირე საწარმოებში მოგების (ზარალის) წილი	-	137	წარმოდგენილია სხვა საოპერაციო მოგებისგან დამოუკიდებლად, თანხის გაზრდილი მნიშვნელობის გამო რეკლასიფიცირებული და ცალკე ნაწვენები მოკავშირე საწარმოების მოგების (ზარალის) წილი
სხვა საოპერაციო ხარჯი	9,903	9,766	

რისკებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები 2007 წლისათვის შესაბამისად იქნა განახლებული.

**შვილობილი კომპანიები**

შვილობილი კომპანიები, რომლებშიც ჯგუფს გააჩნია ხმის უფლებისთვის საჭირო წილის ნახევარზე მეტი, ან სხვაგვარად გააჩნია უფლება განახორციელოს ამ შვილობილი კომპანიების ოპერაციების კონტროლი, წარმოადგენენ კონსოლიდირებულ საწარმოებს. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულად მიიჩნევა კონტროლის უფლების წარმოშობიდან. შვილობილ კომპანიებს აღარ გააჩნიათ აღნიშნული სტატუსი კონტროლის უფლებამოსილების შეწყვეტისას. ჯგუფის ყველა შიდა ოპერაცია, ნაშთები და არარეალიზებული მოგება ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციებიდან იქვითება. არარეალიზებული ზარალი ასევე იქვითება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ოპერაცია იძლევა გადაცემული აქტივის გაუფასურების საფუძველს.

**შვილობილი კომპანიების შექმნა**

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შექმნისას გამოიყენება ბუღალტრული აღრიცხვის შესყიდვათა მეთოდი. შექმნილი ამოცნობადი აქტივები და ვალდებულებები თუ პირობითი ვალდებულებები, დაშვებული ბიზნესის გაერთიანებისას, აღირიცხება შესყიდვის დღეს არსებული სამართლიანი ღირებულებით უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

ჯგუფის ამოცნობადი წმინდა აქტივების წილის რეალურ ღირებულებაზე მეტი მოცულობის შესყიდვები აღირიცხება როგორც გუდვილი. თუ შესყიდვის მოცულობა ნაკლებია შვილობილ კომპანიაში ჯგუფის ამოცნობადი წმინდა აქტივების წილის რეალურ ღირებულებაზე, სხვაობა აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უმცირესობის წილი წარმოადგენს შვილობილი კომპანიის წილს, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი. უმცირესობის წილი ბალანსის შედგენის დღეს წარმოადგენს უმცირესი წილის მფლობელთა ამოცნობადი, სამართლიანი ღირებულების მქონე აქტივების წილს და შვილობილი კომპანიის ვალდებულებას შესყიდვის თარიღისათვის, აგრეთვე უმცირესობის კაპიტალის დინამიკის წილს შექმნის შემდგომ. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

ზარალი უმცირესობის წილთან მიმართებაში არ აღემატება შვილობილი კომპანიის კაპიტალში უმცირესობის წილს, თუ არ არსებობს უმცირესობის ვალდებულება დააფინანსოს ზარალები. ამგვარი ზარალი მიკუთვნება ხდება ჯგუფისადმი.

**ეტაპობრივი შექმნა**

ბიზნესის გაერთიანებისათვის, რომელიც მოიცავს თანმიმდევრული ეტაპობრივი შესყიდვების ეტაპობრივ სავალუტო ოპერაციებს, თითოეული სავალუტო ოპერაცია ბანკის მიერ განიხილება ინდივიდუალურად, ოპერაციის თარიღისათვის ღირებულებისა და სამართლიანი ღირებულების გამოყენებით და აღნიშნულ ოპერაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი „გუდვილის“ მოცულობის განსაზღვრის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარეობს ინდივიდუალური ინვესტიციების ღირებულების ეტაპობრივი შედარება ბანკის პროცენტთან, მიმდების ამოცნობადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში ყველა ეტაპზე.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ეტაპობრივი შექმნა (გაგრძელება)

შვილობილ კომპანიებში მფლობელთა წილის ზრდა

სხვაობა შესყიდულ შვილობილ კომპანიებში წილებთან დაკავშირებული წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებასა და მფლობელობის წილის ზრდის თარიღისათვის ამგვარი ზრდისთვის გაცემულ ანაზღაურებას შორის, ირიცხება ან კრედიტდება გაუნაწილებელ მოგებაზე.

#### ინვესტიციები მოკავშირე საწარმოებში

მოკავშირე საწარმოები წარმოადგენენ საწარმოებს, სადაც კომპანიას, როგორც წესი, გააჩნია ხმის უფლების 20 დან 50%-მდე ან სხვაგვარად არის უფლებამოსილი იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიაზე, მაგრამ რომელსაც იგი არ აკონტროლებს. ინვესტიციები მოკავშირე საწარმოებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდით და აღიარებულია თავდაპირველი ღირებულებით გუდვილის ჩათვლით. მნიშვნელოვანი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში ასახავს შესყიდვის შემდგომ ცვლილებებს შვილობილ კომპანიაში ჯგუფის წმინდა აქტივების წილში. მოკავშირე საწარმოში ჯგუფის მოგების ან ზარალის წილის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო რეზერვების დინამიკის წილის აღიარება ხდება კაპიტალში. თუმცა, თუ მოკავშირე საწარმოში ჯგუფის ზარალის წილი ტოლია ან მეტია ჯგუფის სარგებელზე, ჯგუფი არ აღიარებს შემდგომ ზარალს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი ვალდებულია განახორციელოს შემდგომი გადახდები მოკავშირე საწარმოში თუ მისი სახელით.

ჯგუფსა და მოკავშირე საწარმოს შორის ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული მოგება იქითება იმ ოდენობით, რა წილსაც ფლობს ჯგუფი ამ მოკავშირე საწარმოში. არარეალიზებული ზარალი ასევე იქითება მოკავშირე საწარმოში ჯგუფის წილის შესაბამისად, ან თუ არ არსებობს გადაცემული აქტივის გაუფასურების საფუძველი.

#### ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება

ბასს 39-ის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, სესხებად და მოთხოვნებად, ვადამდე ფლობილ ინვესტიციებად ან გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციებისათვის, რომლებიც არ აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

აღიარების თარიღი

როგორც წესი, ფინანსური აქტივების გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი შეისყიდის აქტივს. ჩვეულებრივ, ფინანსური აქტივების შესყიდვა და გაყიდვა ისეთი ოპერაციებია, რომლებიც მოითხოვენ აქტივის მიტანას დანიშნულების პუნქტამდე კანონმდებლობით თუ საბაზრო პირობებით რეგულირებად პერიოდში.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით

სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები შესულია კატეგორიაში "ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით". ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია როგორც სავაჭროდ ფლობილი იმ შემთხვევაში, თუ ისინი უნდა გაიყიდოს ახლო მომავალში. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აგრეთვე კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, თუ ისინი არ განეკუთვნება ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტებს. სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივებიდან მოგება-ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.



(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

დაფარვის ვადამდე შენარჩუნებადი ინვესტიციები

ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვების გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, კლასიფიცირდებიან როგორც დაფარვის ვადამდე შენარჩუნებადი ფასიანი ქაღალდები, როდესაც ჯგუფს შესწევს მათი ვადამდე ფლობის უნარი. აღნიშნული განსაზღვრება არ მოიცავს განუსაზღვრელი ვადის მქონე ინვესტიციებს. დაფარვის ვადამდე შენარჩუნებადი ინვესტიციები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება როგორც თავდაპირველად აღიარებულ თანხას გამოკლებული ყველა შემდგომი დაფარვა, რასაც ემატება ან აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია, რომელიც გამოიანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით თავდაპირველად აღიარებულ თანხასა და ვადის ამოწურვისას არსებულ თანხას შორის სხვაობასთან მიმართებაში. ეს გამოთვლა მოიცავს ნებისმიერ გასამრჯელოსა და მიღებულ თუ გადახდილ თანხებს მხარეებს შორის ხელშეკრულებით, რომლითაც განსაზღვრულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, ოპერაციის საკომისიო და სხვა პრემიები თუ ფასდაკლებები. ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ინვესტიციებისათვის, მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება ინვესტიციის ჩამოწერა, ან ინვესტიცია უფასურდება, აგრეთვე ცვეთის პროცესში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადი და რომელთა კოტირება არ ხდება ბაზარზე. ისინი არ კლასიფიცირდება როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, არ განისაზღვრება როგორც გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები და არ გამოიყენება მოკლე პერიოდში გაყიდვის მიზნით. ასეთი აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება სესხისა და მოთხოვნის ჩამოწერისას, გაუფასურებისას, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც განსაზღვრულია გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად და არ არის გათვალისწინებული ზემოთაღნიშნულ სამ კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებისა და ზარალის ცალკეულ კომპონენტად აღიარებით კაპიტალში, ინვესტიციის ჩამოწერამდე თუ გაუფასურებამდე, როდესაც კაპიტალში აღრიცხული ჯამური მოგება თუ ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო განაკვეთის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ფინანსურ ბაზარზე გასაყიდად არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება ბალანსის შედგენის თარიღისათვის განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით შეთავაზების ფასით გრძელ პოზიციაზე და მოთხოვნის ფასით მოკლე პოზიციაზე, საოპერაციო ხარჯის გამოკლების გარეშე, ბალანსის შედგენის დღის ბოლოსათვის. ინვესტიციებისათვის, რომელთა საბაზრო პირობებთან შედარებაც ვერ ხერხდება, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სათანადო შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდი მოიცავს სამართლიანი პირობებით წარმოებულ საბაზრო გარიგებებს, რომლებიც გამომდინარეობს ნებაყოფლობითი ოპერაციებიდან, ლიკვიდაციიდან თუ გაყიდვებიდან, ანალოგიური ინსტრუმენტების საბაზრო ფასებზე, დისკონტირებულ ფულად ნაკადებზე და სხვა შეფასების მოდელზე დაყრდნობით.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

##### გაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა თანხით საბალანსო ანგარიშგებაში ასახვა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა, მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა.

##### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, მოთხოვნების ეროვნული ბანკისადმი, (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისგან, რომელთაც გააჩნიათ გამოშვებიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისგან.

##### წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივ ბიზნესის მსგავსად მსგავსად ფუნქციონირებს აწარმოებს გაცვლით ოპერაციებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით სავალუტო და ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე. ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტები გამოიყენება ვაჭრობისთვის, აღიარებულია ფინანსური ინსტრუმენტების პოლიტიკის თანახმად და ამდენად, ფასდება სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ღირებულებით, ან ფასდადების მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და საკონტრაქტო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფასიანი ქაღალდები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდებიდან მოგებას გამოკლებული ზარალი ან სავალუტო ოპერაციებიდან მოგებას გამოკლებული ზარალი, გამომდინარე ინსტრუმენტის ბუნებიდან.

სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მიჩნეულია ცალკეულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად და აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით თუ მათი ეკონომიკური მახასიათებლები და რისკები არ არის პირდაპირ დაკავშირებული კონტრაქტში ასახულ მონაცემებთან, და კონტრაქტი თავად არ არის სავაჭროდ გამიზნული ან ასახული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების გავლით. ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც განცალკევებულია ძირისგან, აღრიცხება სამართლიანი ღირებულებით სავაჭროდ გამიზნულ პორტფელში და სამართლიანი ღირებულების ცვლილება ასახვას პოუვებს კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

##### თამასუქები

შეკენილი თამასუქები გაერთიანებულია სავაჭრო ფასიანი ქაღალდებში, ან მოთხოვნებში საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ან მომხმარებლებზე გაცემულ სესხებში ან გასაყიდად არსებულ ფასიანი ქაღალდებში, გამომდინარე მათი ეკონომიკური შინაარსიდან და აისახება იმ სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, რომელიც მისადაგებულია აქ თითოეული ჩამოთვლილი აქტივის ჯგუფისათვის.

##### სესხები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირებულია როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ჯგუფს წარმოეშობა ფულადი ან სხვაგვარი ვალდებულება მფლობელის წინაშე, ან როდესაც ჯგუფი აწარმოებს გაცვლით ოპერაციებს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავენ ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებებისა და მეანბრების წინაშე, ასევე გამოშვებულ

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### სესხები (გაგრძელება)

სასესხო ფასიან ქაღალდებს, აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების ჩამოწერისას, აგრეთვე ცვეთის პროცესში.

#### იჯარა

##### ფინანსური - ჯგუფი როგორც იჯარით გამცემი

ჯგუფი კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშგებაში აღიარებს იჯარიდან მისაღებ თანხებს ფასით, რომელიც ტოლია წმინდა ინვესტიციებისა ფინანსურ იჯარაში გამოინაგარიშება მინიმალური საიჯარო გადასახადის მიმდინარე მოცულობით, რომლის დაანგარიშებისას იჯარის საპროცენტო განაკვეთში გათვალისწინებულია დისკონტირების ფაქტორი. საწყისი პირდაპირი ხარჯები გათვალისწინებულია იჯარიდან მისაღებ თანხებში. მიღებული საიჯარო გადასახადები განაწილებულია ფინანსურ შემოსავალსა და საიჯარო მოთხოვნების კლებას შორის. ფინანსური შემოსავალი ეფუძნება პრინციპს, რომელიც ასახავს მუდმივი პერიოდულობის მქონე თანხის განაკვეთს წმინდა ინვესტიციიდან.

##### საოპერაციო - ჯგუფი როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიცა და ანაზღაურებაც არის მოიჯარის ხელში, კლასიფიცირებულია როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი გრძელვადიან პერიოდში და შესულია ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებში.

##### საოპერაციო - ჯგუფი როგორც იჯარით გამცემი

ჯგუფი ასახავს საოპერაციო იჯარით დასაბეგრ აქტივებს კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშგებაში აქტივის ბუნების შესაბამისად. საიჯარო შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდში როგორც სხვა შემოსავალი. მოიჯარისათვის შეთავაზებული სტიმულირების ხარჯები აისახება როგორც საიჯარო შემოსავლის შემცირება იჯარის პერიოდში წრფივი მეთოდით. საწყისი პირდაპირი ხარჯები, რომლებიც წარმოშობილია სპეციფიურად შემოსავლის მისაღებად საოპერაციო იჯარიდან, ემატება იჯარით აღებული აქტივის საბალანსო ღირებულებას.

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი საბალანსო ანგარიშგების შედგენის თარიღით ასახავს ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას.

ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი “ზარალის ფაქტი”) და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების საფუძველი შესაძლოა მიგვანიშნებდეს, რომ მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის განრიგს, არსებობს მისი გაკოტრების ალბათობა და სხვა, ან თუ სავარაუდოა სამომავლო ფულადი ნაკადების კლება ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

*მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხების შეფასებისას ჯგუფი თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ან კოლექტიურად არამნიშვნელოვნად მიჩნეული ფინანსური აქტივებისათვის. თუ დადგინდა, რომ გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში რომელსაც გააჩნია ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ არის ჩართული გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

*მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები*

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღრიცხება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი. თუ გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, უწინ აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. თუ მომავალში მოხერხდა ჩამოწერილი თანხის ამოღება, იგი კრედიტდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთი გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამოდინარეობს გამოყენებული უზრუნველყოფიდან, რასაც აკლდება უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის გამოყენება.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია შიდა საკრედიტო რანგირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს, არ იყოს გათვალისწინებული. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და შეესაბამება იმგვარ მონაცემებს, როგორებიცაა უმუშევრობის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, ვადახდისუნარიანობა და სხვა. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების, (რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით) გადახედვა ხდება რეგულარულად, განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

დაფარვის ვალდებულება შენარჩუნებადი ფინანსური ინვესტიციები

დაფარვის ვალდებულება შენარჩუნებადი ინვესტიციებისათვის, ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება და ზარალის თანხა აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ მომავალ პერიოდში სავარაუდო გაუფასურების მოცულობა მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, უწინ დარიცხვული ნებისმიერი თანხა კრედიტდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

როდესაც ხდება გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურება, თანხა რომელიც მოიცავს სხვაობას აქტივის ღირებულებასა (ძირითადი თანხის ყველა შემდგომი დაფარვა და ამორტიზაცია) და მის მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის, გამოკლებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი, რომელიც წინა პერიოდში აღრიცხულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გადაიტანება კაპიტალიდან კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. გასაყიდად არსებულ კაპიტალის ინსტრუმენტებთან მიმართებაში, შებრუნება არ არის აღრიცხული კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალის შებრუნება სასესო ინსტრუმენტებზე ხდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, თუ ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების მატება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების ზარალის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღრიცხვის შემდგომ მოვლენას.

ხელახლა შეთანხმებული სესხები

საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი ახდენს სესხების რესტრუქტურისა და იმის ნაცვლად, რომ მიიღოს მფლობელობაში უზრუნველყოფა. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას. მას შემდეგ, რაც მოხდება სესხის პირობების ხელახალი შეთანხმება, სესხი აღარ მიიჩნევა ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს ხელახლა შეთანხმებული სესხების მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს რომ შესრულებულია ყველა პირობა და სამომავლო დაფარვები მოსალოდნელია. გაუფასურებასთან მიმართებაში სესხები კვლავაც ფასდება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად და შეფასებისთვის გამოიყენება სესხის თავდაპირველი ფვაქტური საპროცენტო განაკვეთი.

#### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივის მიერ ფულადი სახსრების შემოტანის ვადა;
- ჯგუფმა გადასცა აქტივის მიერ ფულადი სახსრების შემოტანის უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე შესამე პირებისათვის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფის მიერ (ა) გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება და არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის და აქტივზე კონტროლის არც გადაცემა და

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა (გაგრძელება)

##### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

არც შენარჩუნება, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც გააჩნია გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის უმცირესი საბალანსო ღირებულებით და იმ მაქსიმალური თანხის გათვალისწინებით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ჯგუფს.

როდესაც შემდგომი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შექმნილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ჯგუფის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ჯგუფის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის სააღსრულებო ფასს შორის უმცირესით.

##### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც ვალდებულებები აქტივთან მიმართებაში ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას კრედიტორთან ცვლის მეორე, მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან, თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია გულისხმობს საწყისი ვალდებულების ჩამოწერას და ახალი ვალდებულების ასახვას, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### ფინანსური გარანტიები

ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივ პროცესში ჯგუფი გასცემს ფინანსურ გარანტიებს აკრედიტივებისა და გარანტიების სახით. ფინანსური გარანტიები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხებიან სამართლიანი ღირებულებით, „სხვა ვალდებულებებში“, როგორც მიღებული პრემია. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ჯგუფის ვალდებულებები ყოველი გარანტიისთვის იზომება ამორტიზებულ პრემიასა და იმ ხარჯების მაქსიმალურად ზუსტ გათვლას შორის უმეტესით, რომელიც საჭირო იქნება გარანტიიდან წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების დასაფარად.

ყოველი მატება ვალდებულებებში, რაც დაკავშირებულია ფინანსურ გარანტიებთან აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მიღებული პრემია აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით გარანტიის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის შესაბამისად.

#### გადასახადები

მიმდინარე საშემოსავლო გადასახადის დაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება ხდება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ვალდებულებათა მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული საშემოსავლო გადასახადი წარმოიშობა გუდვილის თავდაპირველი აღიარებიდან თუ აქტივისა და ვალდებულებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგება-ზარალზე.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც დადგინდა ბალანსის შედგენის დღეს.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მოკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის შებრუნების დრო და ახლო მომავალში შებრუნება არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში, უკრაინაში, ბელორუსიაში, კვიპროსსა და მოლდოვაში მოქმედებს რიგი საოპერაციო გადასახადებისა, რომლებიც ჯგუფის საქმიანობასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული გადასახადები ჩართულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

#### საინვესტიციო ქონება

ჯგუფი ფლობს საინვესტიციო ძირითად საშუალებებს საიჯარო შემოსავლისა ან კაპიტალის ზრდისათვის. საინვესტიციო ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, შემდგომი ხარჯების ჩათვლით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, საინვესტიციო ძირითადი საშუალებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. საინვესტიციო ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან წარმოშობილი მოგება ან ზარალი ჩართულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც “საინვესტიციო ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული მოგება შემოსულობა.”

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხულია საბალანსო ღირებულებით გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების მოცულობა. ამგვარი თანხა მოიცავს ძირითადი საშუალებების ჩანაცვლების ღირებულებას, როდესაც ხარჯი წარმოიშობა თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. შენობა-ნაგებობები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული ცვეთა და გაუფასურების განაკვეთი გადაფასების თარიღის შემდგომ.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარების შემდგომ, შენობა-ნაგებობები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის, გამოკლებული შემდგომში აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმაოდ ხშირად იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფაქტი, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან.

გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება კაპიტალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება უწინ კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ჩართული აქტივის გადაფასებისას მისი მოცულობის კლების შებრუნება. ამ შემთხვევაში, მატება აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტი აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი პირდაპირ ქვითავს იმავე აქტივზე უწინ აღიარებულ მატებას, და გამოიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. დამატებით, გადაფასების თარიღისათვის აკუმულირებული ცვეთა იქვეთება აქტივის ჯამურ საბალანსო ღირებულებასთან და ხდება მისი წმინდა თანხით ხელახლა ასახვა. გაყიდვისას, ცალკეულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის მომსახურებაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის შემდეგი მანქვენებლების მიხედვით:

	<u>წელი</u>
შენობები	50
ავტო და მოწყობილობები	10
კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

საიჯარო გაუმჯობესებების ამორტიზაცია ხდება დაკავშირებული საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის შესაბამისად.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

#### გუდვილი

ბიზნესის გაერთიანებისას წარმოშობილი გუდვილი წარმოადგენს ჯგუფის შვილობილ კომპანიაში ამოცნობადი აქტივების, ვალდებულებების და პირობით ვალდებულებების წმინდა სამართლიანი ღირებულების წილსა და ბიზნესის გაერთიანებასთან დაკავშირებული ხარჯის სხვაობას შესყიდვის თარიღისათვის. შვილობილი კომპანიის შესყიდვასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია არამატერიალურ აქტივებში. მოკავშირე საწარმოების შესყიდვასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია ინვესტიციებში მოკავშირე საწარმოებში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი.

გაუფასურებასთან მიმართებაში გუდვილის გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად, თუ მოვლენები და გარემოებების ცვლილებები მიუთითებენ მიმდინარე თანხების გაუფასურების შესახებ.

გაუფასურების შემოწმების მიზნებისათვის, ბიზნესის გაერთიანებისას დარიცხული გუდვილი, შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება ჯგუფის ფულადი ნაკადების მომტან ბიზნეს ერთეულებზე, ან ფულადი ნაკადების მომტან ბიზნეს ერთეულთა ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ ისარგებლებენ გაერთიანების პროცესით, იმისდა მიუხედავად განეკუთვნება თუ არა ჯგუფის სხვა აქტივები და ვალდებულებები აღნიშნულ ბიზნეს ერთეულებს თუ ბიზნეს ერთეულთა ჯგუფებს. ამგვარი დანაყოფები, რომელთაც ერიცხებათ გუდვილი წარმოადგენენ:

- ჯგუფის ქვედა დონეს სადაც გუდვილის მონიტორინგი ხდება მენეჯმენტის შიდა მიზნებისათვის
- არ არიან ბასს № 14-ს შესაბამისად (“ანგარიშების წარდგენა სეგმენტების მიხედვით”) ჯგუფის სეგმენტური ანგარიშგების ფარგლებში პირველად ან მეორად სეგმენტზე მსხვილი.



(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### გუდვილი (გაგრძელება)

გუდვილის გაუფასურება განისაზღვრება იმ ფულადი ნაკადების მომტანი ბიზნეს ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) აღდგენადი ღირებულების შეფასებით, რომელსაც განეკუთვნება გუდვილი. იმ შემთხვევაში, როდესაც აღდგენადი ღირებულება ნაკლებია საბალანსო თანხებზე, ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება. როდესაც გუდვილი განეკუთვნება ფულადი ნაკადების მომტან ბიზნეს ერთეულთა ჯგუფს და მისი ნაწილის გაყიდვის შემთხვევაში, გუდვილის ნაწილი, რომელიც განეკუთვნება გაყიდულ ოპერაციას, ჩართულია ამ ნაწილის საბალანსო ღირებულებაში, ოპერაციის გაყიდვასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ამ შემთხვევაში, გაყიდული გუდვილი შეფასებულია გაყიდული ნაწილისა და ჯგუფში დარჩენილი ფულადი ნაკადების მომტანი ბიზნეს ერთეულის წილის შეფარდებითი ღირებულების შესაბამისად.

#### სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის სხვა არამატერიალური აქტივები წარმოადგენს პროგრამულ უზრუნველყოფას. პროგრამული უზრუნველყოფის აღრიცხვა ხდება თვითღირებულებით, ხოლო ამორტიზაცია წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მანძილზე, რაც არ უნდა აღემატებოდეს ათ წლიან პერიოდს.

ცალკეული გაუნაწილებელი მოგების შეფასება ხდება თავდაპირველი აღიარებისას თვითღირებულებით. ბიზნესის გაერთიანებისას წარმოშობილი გაუნაწილებელი მოგების მოცულობა წარმოადგენს შესყიდვის დღეს არსებულ სამართლიან ღირებულებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის - 4-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ამგვარი ინდიკაციის არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

განუსაზღვრელი მომსახურების ხანგრძლივობის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება არ ხდება, თუმცა ხდება მათი გაუფასურებასთან მიმართებაში ყოველწლიურად შემოწმება, ინდივიდუალურად ან ფულადი ნაკადების გამომუშავებელი ბიზნეს ერთეულის დონეზე, აქტივის მიმდინარე მომსახურების ხანგრძლივობის სტატუსის დადასტურების მიზნით.

პროგრამული უზრუნველყოფის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება ხარჯებში წარმოშობისას. პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების ღირებულება (დაკავშირებული ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული უზრუნველყოფის დიზაინსა და ტესტირებასთან) აღიარებულია როგორც არამატერიალური აქტივები მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის უნარი და ზრახვა იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს აქტივის გამოყენება თუ გაყიდვა, რომ აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა, განვითარების ხარჯების გათვალისწინებით. სხვა სახის პროგრამული უზრუნველყოფის აღრიცხვა ხდება ხარჯებში წარმოშობისას.

#### რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია წარსული მოვლენიდან გამომდინარე მიმდინარე თუ მოსალოდნელი იურიდიული ვალდებულება და სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად, ასევე შესაძლებელია ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა.

#### დაზღვევისა და გადაზღვევის მოთხოვნები

დაზღვევისა და გადაზღვევის მოთხოვნები აღიარებულია სადაზღვევო პოლისის პირობების შესაბამისად და აღრიცხულია თვითღირებულებით. დაზღვევისა და გადაზღვევის მოთხოვნების

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### დაზღვევისა და გადაზღვევის მოთხოვნები (გაგრძელება)

საბალანსო ღირებულებების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალი აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გადაზღვევის მოთხოვნები ძირითადად მოიცავს სადაზღვევო კრედიტის დაუფარავი ნაშთების მოთხოვნებს როგორც სადაზღვევო, ასევე გადამზღვევი კომპანიებისაგან. გადაზღვევის პრემიის აღიარება ხდება შემოსავლად ისე, როგორც ეს მოხდებოდა, თუ გადაზღვევა მიინეოდა პირდაპირ საქმიანობად, გადაზღვეული საქმიანობის პროდუქციის კლასიფიკაციის გათვალისწინებით. ვალდებულებები გადამზღვევთა წინაშე შეფასებულია ასოცირებული პოლისებიდან და გადაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. გადახდილი პრემია და ანაზღაურებული პრეტენზიები წარმოდგენილია ჯამურად.

გაუფასურების გადახედვა ხდება ყველა გადაზღვევის აქტივზე გაუფასურების ინდიკაციის წარმოშობისას. გადაზღვევის მოთხოვნების გაუფასურება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ მიიღებს თანხას აღნიშნული სახელშეკრულებო მოთხოვნიდან და შესაძლებელია თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა.

#### სადაზღვევო ვალდებულებები

##### ზოგადი სადაზღვევო ვალდებულებები

ზოგადი სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები გამოდინარეობს იმ სავარაუდო პრეტენზიების მაქსიმალური ღირებულებიდან, რომლებიც წარმოიშვა, მაგრამ არ დაფარულა ბალანსის შედგენის თარიღისათვის, იმისდა მიუხედავად, განცხადებულია ისინი, თუ არა, ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ხარჯებთან ერთად და ამოღების მოსალოდნელი თანხით შემცირების გათვალისწინებით. რიგი ზოგადი სადაზღვევო მოთხოვნების მიწოდება და ანაზღაურება შესაძლოა მნიშვნელოვნად დაგვიანდეს. ძირითადად ეს ეხება პასუხისმგებლობის დაზღვევას და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობას, შესაბამისად, მაქსიმალური ღირებულება შესაძლოა არ იყოს ზუსტად განსაზღვრული ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

##### გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვები

გამოწერილი პრემიების პროპორცია, მათ შორის შუამავლებისათვის გადასახდელი საკომისიო, რომელიც განეკუთვნება შესაბამის პერიოდებს, გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება შეტანილია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, რათა მოგება აღიარებულ იქნას რისკის პერიოდში, ან ანუიტეტის შემთხვევაში, მომავალი გადახდების განმავლობაში.

##### ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება

ბალანსის შედგენის დღეს ხორციელდება ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება გამოუმუშავებელი პრემიების ადეკვატურობის უზრუნველყოფის მიზნით, დაკავშირებული გადავადებული შექმნის ღირებულების გაუთვალისწინებლად. შემოწმებისას გამოიყენება სამომავლო საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასება, პრეტენზიების ანაზღაურების და პოლისის აღმინისტრირების ხარჯები, ისევე როგორც, საინვესტიციო შემოსავალი აღნიშნული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად არსებული აქტივებიდან. ნებისმიერი არაადეკვატურობა მყისიერად ერიცხება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებას რისკის რეზერვის შექმნის გზით.

#### საპენსიო და სხვა ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე

ჯგუფს გააჩნია სახელმწიფო საპენსიო სქემისგან დამოუკიდებელი საპენსიო სქემა. ბანკის განსაზღვრული შენატანის მქონე საპენსიო სქემა მოიცავს ძირითადად სრულ განაკვეთზე მყოფ

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### საპენსიო და სხვა ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე (გაგრძელება)

თანამშრომლებს. ჯგუფი აგროვებს შენატანებს მისი თანამშრომლებისგან. როდესაც თანამშრომელი მიაღწევს საპენსიო ასაკს, ხდება დაგროვილი შენატანების თანამშრომლისთვის გადახდა მასთანვე შეთანხმებული განრიგის შესაბამისად. დაგროვილი შენატანები გადანაწილებულია თანამშრომლის მიერ თანხის მიღების პერიოდზე.

#### აქციებით წარმოებულ გადახდებზე დაფუძნებული გარიგებები

ჯგუფის თანამშრომლები (ზედა რგოლის ხელმძღვანელების ჩათვლით) დებულობენ ანაზღაურებას აქციებზე დაფუძნებული გარიგებებიდან, როდესაც თანამშრომლები ეწვეიან მომსახურებას კაპიტალის ინსტრუმენტების საფასურად (კაპიტალით წარმოებულ ანგარიშსწორებაზე დაფუძნებული გარიგებები).

#### კაპიტალით წარმოებულ ანგარიშსწორებაზე დაფუძნებული გარიგებები

თანამშრომლებთან კაპიტალით წარმოებულ ანგარიშსწორებაზე დაფუძნებული გარიგებების ფასი აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღით, როდესაც მოხდა მათი მიღება.

კაპიტალით წარმოებულ გარიგებების ფასი აღრიცხულია შესაბამისი კაპიტალის ზრდასთან ერთად, იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა/ვალდებულებების შერულება. ეს პერიოდი სრულდება მაშინ, როდესაც შესაბამისი თანამშრომელი მთლიანად უფლებამოსილია მიიღოს პრემია ("ძალაში შესვლის თარიღი"). ძალაში შესვლის თარიღისათვის, ყოველ საბალანსო წელს აღიარებული კაპიტალით წარმოებულ გარიგებების მთლიანი ხარჯი დამოკიდებულია ძალაში ყოფნის მთლიანი პერიოდის გასვლასა და წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შეფასებაზე. კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახული ხარჯი თუ შემოსავალი წარმოადგენს მთლიანი ხარჯის ცვლილებას პერიოდის დასაწყისიდან ბოლომდე.

ძალაში შესვლამდე არ ხდება პრემიის ხარჯის აღიარება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფლებამოსილების მინიჭება დამოკიდებულია საბაზრო პირობებზე, გათვალისწინებით იმისა, რომ ყველა დანარჩენი პირობა შესრულებულია. ეს შემთხვევა მიიჩნევა უფლებამოსილების მინიჭებად, მიუხედავად იმისა, დაკმაყოფილებულია თუ არა საბაზრო პირობები.

როდესაც კაპიტალით წარმოებულ ანგარიშსწორებაზე დაფუძნებული პრემიების პირობები იცვლება, მინიმალური ხარჯის აღიარება ხდება იმ სახით, თითქოს არ მომხდარიყოს პირობების ცვლილება. გარდა ამისა, ხარჯის აღიარება ხდება ნებისმიერი კორექტირებისათვის, რომელიც ზრდის აქციებით წარმოებულ გადახდებზე დაფუძნებული გარიგებების მთლიან სამართლიან ღირებულებას ან სხვაგვარად წარმოადგენს თანამშრომლის სარგებელს მოდიფიკაციის თარიღით.

როდესაც ხდება კაპიტალზე დაფუძნებული პრემიის გაუქმება, ის ძალაში შესულად მიიჩნევა გაუქმების თარიღით, ხოლო ნებისმიერი პრემიის ხარჯის იმ ნაწილის აღიარება, რომლის აღიარებაც ჯერ არ მომხდარა ხდება მყისიერად. თუმცა, თუ გაუქმებულ პრემიას ჩაენაცვლება ახალი, რომელიც გადაცემის თარიღისათვის აღწერილია როგორც ჩანაცვლების პრემია, ძველი და ახალი პრემიები მოიაზრება თავდაპირველი პრემიის კორექტირებად, როგორც აღწერილია წინა პარაგრაფში.

#### საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. გარე ხარჯები, პირდაპირ დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციების გარდა, აღრიცხულია როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღრიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### სახაზინო აქციები

როდესაც ჯგუფი ან მისი შვილობილი კომპანია შეიძენს ჯგუფის წილს, გადახდილი საფასური, დაკავშირებულ წმინდა საოპერაციო თანხებთან ერთად გამოიქვითება მთლიანი კაპიტალიდან, როგორც სახაზინო აქციები მათ გაუქმებამდე ან ხელახლა გამოშვებამდე. როდესაც შემდგომში ხდება ასეთი აქციების გაყიდვა ან ხელახლა გამოშვება, ხდება მიღებული საფასურის ჩართვა კაპიტალში. სახაზინო აქციები ასახულია საშუალო შეწონილი ღირებულებით. დამატებით შეტანილ კაპიტალთან მიმართებაში პრემიების კორექტირებით

#### დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ბალანსის შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი განცხადებულია ბალანსის შედგენამდე პერიოდში ან ბალანსის შედგენის თარიღით. დივიდენდები განცხადებულია, როდესაც მათი შეთავაზება ბალანსის შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან განცხადებულია ბალანსის შედგენის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

#### ანგარიშგების წარდგენა სეგმენტების მიხედვით

სეგმენტი წარმოადგენს ჯგუფის განმასხვავებელ კომპონენტს, რომელიც გამოიყენება პროდუქციის ან მომსახურებების მიწოდებისას (ბიზნეს სეგმენტები) კონკრეტული ეკონომიკური გარემოს ფარგლებში (გეოგრაფიული სეგმენტი), რაც ექვემდებარება სხვა სეგმენტებისგან განსხვავებულ რისკებს და პრემიებს. ჯგუფი განსაზღვრავს, რომ პირველადი და მეორადი სეგმენტები ბიზნესისა და გეოგრაფიული სეგმენტებია.

#### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებების აღიარება კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი განცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

#### შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

**შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს ვიდრე მოხდებოდეს შემოსავლის აღიარება:**

*პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამოზნული ან გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეოთხით, რომლითაც ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი დაფარვებისა/შემოსავლისა ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის თუ უფრო მოკლე პერიოდის მანძილზე სადაც ეს შესაძლებელია, ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებაზე ზუსტი დისკონტირება. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

*პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი (გაგრძელება)*

საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით რომელიც მიესადაგება ახალ საბალანსო ღირებულებას.

*შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან*

ჯგუფი ღებულობს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიოდან მომხმარებელთათვის გაწეული სხვადასხვა მომსახურებიდან, რაც შესაძლოა დაიყოს შემდეგ ორ კატეგორიად:

- შემოსავალი გარკვეული პერიოდის მანძილზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან

შემოსავალი გარკვეული პერიოდის მანძილზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან დარიცხულია იმავე პერიოდში. აღნიშნული გასამრჯელო მოიცავს შემოსავალს საკომისიოდან, მომსახურებისა და სხვა ხარჯებს. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა მზარდ ხარჯებთან ერთად) და აღიარებულია როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

- შემოსავალი საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან

თანხები მიღებული მესამე მხარეთა ოპერაციებთან დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან – როგორებიცაა აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა თუ საწარმოს შესყიდვა ან გაყიდვა – აღრიცხულია გარიგების დასრულებისას. გარიგებებთან დაკავშირებული გასამრჯელო, ან გასამრჯელოს კომპონენტები, აღიარებულია შესაბამისი პირობების შესრულების შემდგომ.

*შემოსავალი დივიდენდებიდან*

შემოსავლის აღიარება ხდება ჯგუფის მიერ თანხის მიღების უფლების წარმოშობისას.

*საზღვევო პრემიის შემოსავალი*

დაზღვევის საქმიანობისთვის, სიცოცხლის დაზღვევის გარდა, პრემიების აღიარება ხდება პოლისის ამოქმედებიდან, ხოლო გამომუშავება პროპორციულად, შესაბამისი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში. საბალანსო ანგარიშგებაში შეტანილი სავარაუდო პრემიების თანხები, რომელთა მიღებაც ჯერ არ მომხდარა, შეფასებულია წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და ჩართულია გამომუშავებულ პრემიებში.

*სადაზღვევო მოთხოვნები*

საერთო სადაზღვევო მოთხოვნები მოიცავს წლის განმავლობაში წარმოქმნილ მოთხოვნებთან დაკავშირებულ ყველა დანაკარგს, იქნება ის განცხადებული თუ არა, მათ შორის სატრანსპორტო ხარჯს და ნარჩენი ღირებულების შემცირებას და სხვა ანაზღაურებებს, ასევე წინა წლებიდან დასაფარი მოთხოვნების ნებისმიერ კორექტირებას.

#### ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს. 2007 წლის 1 იანვრიდან, ბანკის ფუნქციონალური ვალუტაა აშშ. დოლარი. 2007 წლის 1 იანვრამდე, ლარი წარმოადგენდა ფუნქციონალურ ვალუტას. ჯგუფის

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია (გაგრძელება)

ყველა საწარმო განაზღვრავს საკუთარ ფუნქციონალურ ვალუტას, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები იზომება აღნიშნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება სებ-ის გაცვლითი კურსით ბალანსის შედგენის დღეს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს, ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში. 2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი შესაბამისად იყო 1.667 და 1.5916 ლარი 1 აშშ. დოლართან მიმართებაში და 2.3648 და 2.3315 ლარი 1 ევროსთან მიმართებაში.

ანგარიშგების დღეს, იმ საწარმოთა აქტივები და ვალდებულებები, რომელთა ფუნქციონალური ვალუტა განსხვავდება ჯგუფის საანგარიშგებო ვალუტისგან, კონვერტირდება ქართულ ლარში, საბალანსო ანგარიშგების დღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით და მათი მოგება-ზარალის ანგარიშგება გადაყვანილია წლის საშუალო შეწონილი კურსით. კონვერტაციიდან გამომდინარე საკურსო სხვაობები პირდაპირ ასახულია კაპიტალის ცალკეულ კომპონენტად. იმ შეიღობილი კომპანიის თუ მოკავშირე საწარმოს გადაცემისას, რომლის ფუნქციონალური ვალუტა განსხვავდება ჯგუფის საანგარიშგებო ვალუტისგან, კაპიტალში აღიარებულია გადავადებული მთლიანი თანხა, ამ კონკრეტულ საწარმოსთან მიმართებაში აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ოპერაციის შექმნიდან წარმოშობილი ნებისმიერი გუდვილი და შექმნისას აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების სამართლიანი ღირებულებით ნებისმიერი კორექტირება მოიაზრება უცხოური ოპერაციების აქტივებად და ვალდებულებებად და გადაყვანილია საბოლოო კურსით.

#### სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა მიმდინარე ანგარიშგების პერიოდში და ჯგუფს ადრე არ მიუღია:

#### ფასს-ს გაუმჯობესებები

2008 წლის მაისში, ბასს-მ წლიური გაუმჯობესების პროექტიდან გამომდინარე გამოსცა ფასს-ს ცვლილებები. აღნიშნული მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის ცვლილებებს წარდგენასთან, აღიარებასა და შეფასებასთან მიმართებაში. აღნიშნული ასევე მოიცავს ტერმინოლოგიისა და სარედაქციო ცვლილებებს რიგ ფასს სტანდარტებთან მიმართებაში. ცვლილებების უმეტესობა ძალაშია 2009 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, თუმცა, ნებადართულია უფრო ადრეული მიღებაც. ჯგუფი ამჟამად აფასებს, თუ პოტენციურად რა გავლენა ექნება ცვლილებების მიღებას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

##### ბასს 1 “ფინანსური ანგარიშგების წარდგენა” (კორექტირებული)

კორექტირებული ბასს 1 გამოცემულ იქნა 2007 წლის სექტემბერში და ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწვებული წლიური პერიოდებისათვის. აღნიშნული კორექტირებული სტანდარტი განცალკევებით წარმოადგენს მფლობელთა და არამფლობელთა ცვლილებებს კაპიტალში. კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ მფლობელთა ოპერაციების შესახებ. არამფლობელთა ცვლილებები კაპიტალში წარმოდგენილია ცალკეული სტრიქონის სახით. ამავე დროს, სტანდარტი წარმოადგენს უფრო ვრცელ მოგება-ზარალის ანგარიშგებას: გაწერილია აღიარებული შემოსავლის და ხარჯის ყველა მუხლი, ერთად ან განცალკევებით. ჯგუფი ჯერ კიდევ აფასებს აღნიშნული კორექტირების მიღების პოტენციურ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

##### ბასს 23 “სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები” (კორექტირებული)

კორექტირებული ბასს 23 – “სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები”, გამოცემულ იქნა 2007 წლის მარტის თვეში და ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწვებული ფისკალური პერიოდებისათვის. სტანდარტის კორექტირება მოხდა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაციის მოთხოვნის მიზნით, როდესაც ამგვარი ხარჯები დაკავშირებულია განსაკუთრებულ აქტივთან. განსაკუთრებული აქტივი ისეთი აქტივია, რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი. სტანდარტის გარდამავალი მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფი აღნიშნულ სტანდარტს მიიღებს სამომავლო ცვლილების სახით. შესაბამისად, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებულ აქტივებზე 2009 წლის 1 იანვრის შემდგომი თარიღით. აღნიშნულ თარიღამდე წარმოშობილ, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ ხარჯებში ცვლილებები არ შევა.

ბასს 32-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა” და ბასს 1-ის “ფინანსური ანგარიშგების წარდგენა” ცვლილებები – წინასწარი დაფარვის პირობით გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები და ლიკვიდაციისას წარმოშობილი ვალდებულებები.

აღნიშნული ცვლილებები გამოცემულ იქნა 2008 წლის თებერვალში და ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწვებული წლიური პერიოდებისათვის. ცვლილებები მოითხოვს, რომ შეთავაზებული ინსტრუმენტი კლასიფიცირებულ იქნას კაპიტალად, თუ ის აკმაყოფილებს რიგ პირობებს. აღნიშნული ცვლილებები არ იქონიებს გავლენას ჯგუფზე.

ცვლილებების შედეგად, წინასწარი დაფარვის პირობით გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც ამ ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელები შეიძლება მონაწილეობდნენ საწარმოში, კლასიფიცირდებიან კაპიტალად, იმ შემთხვევაში თუ აკმაყოფილებენ გარკვეულ პირობებს. ამ ცვლილებებს არ აქვთ გავლენა ჯგუფზე

ბასს 39-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება ცვლილებები” - ჰეჯირებული საშუალებები.

ბასს 39-ის ცვლილება გამოცემულ იქნა 2008 წლის აგვისტოში და ძალაში შედის 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწვებული ფისკალური პერიოდებისათვის. ცვლილება აღწერს ჰეჯირებულ საშუალებებში ცალმხრივი რისკის მახასიათებლებს და ინფლაციის ჰეჯირებულ რისკად ან რისკის ნაწილად წარმოდგენას გარკვეულ სიტუაციებში. ცვლილების მიხედვით, საწარმოს შეუძლია ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილების ან არამდგრადი ფულადი ნაკადების ნაწილი აღიაროს ჰეჯირებულ ელემენტად. ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ბასს 39-ის ცვლილება გავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ჯგუფი არ არის ჩართული ამგვარ ჰეჯირების ოპერაციებში.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს-ის “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამოყენება” და ბასს 27-ის “კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება” ცვლილებები – შვილობილ კომპანიაში, ერთობლივად კონტროლირებად საწარმოსა თუ მოკავშირე საწარმოში ინვესტიციის ღირებულება

აღნიშნული ცვლილებები გამოცემულ იქნა 2008 წლის მაისში და ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. სამომავლოდ ადგილი ექნება ბასს 27-ის გადახედვას. ფასს 1-ის ცვლილებები საწარმოს საშუალებას აძლევს განსაზღვროს შვილობილ კომპანიაში, ერთობლივად კონტროლირებად საწარმოსა თუ მოკავშირე საწარმოში ინვესტიციის ღირებულება მის საწყის ფასს-ს შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებაში, ბასს 27-ის შესაბამისად ან საგარაუდო ღირებულების გამოყენებით. ბასს 27-ის ცვლილება მოითხოვს შვილობილი კომპანიის, ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოსა თუ მოკავშირე საწარმოს ყველა დივიდენდის აღიარებას ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ახალი მოთხოვნები ეხება მხოლოდ მშობელი კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და არ აქვს გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 2-ის – “წილობრივი გადახდა” ცვლილებები – ძალაში ყოფნის პირობები და გაუქმება

ფასს 2-ის ცვლილებები გამოცემულ იქნა 2008 წლის იანვარში და ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. აღნიშნული ცვლილება გაწერს ძალაში ყოფნის პირობებს და ანაზღაურების გაუქმების შემთხვევებს ძალაში ყოფნის პირობების დაუკმაყოფილებლობისას. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა თუ საქმიანობაზე.

ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანება” (კორექტირებული 2008 წლის იანვარში) და ბასს 27 “კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება” (კორექტირებული 2008 წლის იანვარში)

კორექტირებული სტანდარტები გამოცემულ იქნა 2008 წლის იანვარში და ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. კორექტირებული ფასს 3 წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებულ რიგ ცვლილებებს, რომელთაც გავლენა ექნებათ აღიარებული გუდვილის თანხაზე, შექმნის პერიოდისათვის განცხადებულ და სამომავლო შედეგებზე. ბასს 27 მოითხოვს, რომ საწარმოს მფლობელთა წილის ცვლილება გათვალისწინებულ იქნას კაპიტალის ოპერაციაში. შესაბამისად, ამგვარი ცვლილება არ იქონიებს გავლენას გუდვილზე, არ წარმოშობს მოგებასა თუ ზარალს. კორექტირებულ სტანდარტს გავლენა აქვს საწარმოს წარმოშობილ ზარალზე, ასევე საწარმოს კონტროლზე. სტანდარტში წარმოდგენილი ცვლილებები სამომავლოდ მიღებულ უნდა იქნას და გავლენას იქონიებს მხოლოდ სამომავლო შექმნასა და ოპერაციებზე უმცირესობის წილით.

ფასს 8 “საოპერაციო სეგმენტები”

ფასს 8 ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. სტანდარტი მოითხოვს ჯგუფის საოპერაციო სეგმენტების შესახებ ინფორმაციის განცხადებას და ცვლის ჯგუფის პირველადი (საქმიანობის) და მეორადი (გეოგრაფიული) საანგარიშგებო სეგმენტის განსაზღვრის მოთხოვნას. აღნიშნული სტანდარტის მიღება არ იქონიებს გავლენას ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე თუ საქმიანობაზე. ჯგუფმა მიიჩნია, რომ საოპერაციო სეგმენტები იქნება უწინ ბასს 14-ის “ანგარიშგების წარდგენა სეგმენტების მიხედვით” შესაბამისად იდენტიფიცირებული ბიზნეს სეგმენტების ანალოგიური.



(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფაისკ 13 “მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამები”

ფაისკ ინტერპრეტაცია 13 გამოქვეყნდა 2007 წლის ივნისში და ძალაშია 2008 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული ფისკალური პერიოდებისათვის. აღნიშნული ინტერპრეტაცია მოითხოვს მომხმარებლის ლოიალობას საკრედიტო გარიგებებთან მიმართებაში, რაც იმ საფაქტრო გარიგების ცალკეულ კომპონენტად უნდა გამოცხადდეს, რომლითაც კრედიტი არის მინიჭებული. შესაბამისად, მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულების ნაწილი აღრიცხულია გაცემულ კრედიტებში და გადავადებულია იმ პერიოდზე, როდესაც კრედიტი ამოიწურება. ამ ინტერპრეტაციამ გავლენა არ იქონია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ამგვარი სქემები ამჟამად არ არსებობს.

ფაისკ 15 “უძრავი ქონების მშენებლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები”

ფაისკ ინტერპრეტაცია 15 გამოქვეყნდა 2008 წლის ივლისში და ძალაშია 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ფაისკ 15 გაწერს, თუ როდის და როგორ უნდა იქნას აღიარებული უძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი და დაკავშირებული ხარჯები, თუ დეველოპერსა და მყიდველს შორის ხელშეკრულება გაფორმებულია მშენებლობის დასრულებამდე. ინტერპრეტაცია ასევე განმარტავს ხელშეკრულების მისაღების პრინციპს ბასს 11-თან - “სამშენებლო კონტრაქტები” ან ბასს 18-თან - “ამონაგები” და ცვლის უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ინსტრუქციას ბასს 18-ის დანართში. ჯგუფი არ ელის, რომ ინსტრუქცია გავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 16 “უცხოურ ოპერაციაში წმინდა ინვესტიციის ჰეჯები”

ფაისკ ინტერპრეტაცია 16 გამოცემული იქნა 2008 წლის ივლისში და მოიცავს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებს. აღნიშნული ინტერპრეტაცია იძლევა მითითებებს იმ უცხოური ვალუტის რისკების შესახებ, რომლებიც აკამოფილებენ ჰეჯირების აღრიცხვის პირობებს, წმინდა ინვესტიციებში ჰეჯირების აღრიცხვის დროს, ასევე მითითებებს იმის შესახებ თუ რამდენად შესაძლებელია საწარმოს მიერ ჰეჯირებული ინვესტიციის ფლობა და როგორ უნდა განსაზღვროს საწარმომ უცხოური ვალუტის მოგების ან ზარალის ის წილი რომელიც დაკავშირებულია როგორც წმინდა ინვესტიციასთან, ისევე ჰეჯირების ინსტრუმენტთან და რომლის მოგება-ზარალის უწყისში აღიარება ხდება წმინდა ინვესტიციის გასხვისებისას. ჯგუფის ვარაუდით, ეს ინტერპრეტაცია გავლენას არ იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 17 არა-ფულადი აქტივების განაწილება მფლობელებზე

ფაისკ ინტერპრეტაცია 17 გამოცემული იქნა 2008 წლის 27 ნოემბერს და ძალაშია 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. IFRIC 17 ეხება არა-ფულადი აქტივების პროპორციულ განაწილებას, გარდა საერთო კონტროლის მქონე ტრანზაქციებისა და მოითხოვს, რომ გადასახდელი დივიდენდი აღიარებულ იქნას მაშინ, როდესაც დივიდენდი სათანადოდ იქნება ნებადართული და აღარ იქნება კომპანიის განკარგულებაში; კომპანიამ გადასახდელი დივიდენდი უნდა შეაფასოს წმინდა გასანაწილებელი აქტივების სამართლიანი ღირებულებით; კომპანიამ უნდა ასახოს სხვაობა გადახდილ დივიდენდსა და მოგებაში ან ზარალში განაწილებული წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის. ინტერპრეტაცია ასევე მოითხოვს, რომ კომპანიამ უზრუნველყოს დამატებითი მონაცემები, თუ წმინდა აქტივები, რომლებიც განკუთვნილია მფლობელებისათვის გასანაწილებლად, შეესაბამება შეწყვეტილი ოპერაციის განმარტებას. ჯგუფის ვარაუდით ეს ინტერპრეტაცია გავლენას არ იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ათას ლარში)

ჯგუფში დანერგილია საკრედიტო ხარისხის განხილვის პროცედურა, რათა დროულად მოხდეს შეთანხმებული მხარეების კრედიტუნარიანობის შესაძლო ცვლილების იდენტიფიცირება. აღნიშნული განხილვა ეხება ჩვეულებრივ უზრუნველყოფასაც. საკრედიტო რისკის კლასიფიცირების სისტემის გამოყენებით, დაწესებულია ლიმიტები შეთანხმებული მხარისათვის, რითაც ხდება თითოეული შეთანხმებული მხარისათვის საკრედიტო რეიტინგის მინიჭება. საკრედიტო რეიტინგების გადახედვა რეგულარულად ხდება. საკრედიტო ხარისხის განხილვის პროცესი ბანკს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს სათანადო ზომები.

#### წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკრედიტო რისკი ნებისმიერ დროს ეხება მხოლოდ პოზიტიურ სამართლიან ღირებულებას, როგორც ეს ასახულია საბალანსო ანგარიშგებაში.

#### საკრედიტო ვალდებულებების რისკი

ჯგუფი მომხმარებელს აძლევს გარანტიას, რომლის თანახმად, ჯგუფმა შესაძლოა კლიენტის სახელით გადაიხადოს თანხები. აღნიშნული თანხების მიღება ხდება მომხმარებელთაგან აკრედიტივის პირობების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხებთან დაკავშირებული ანალოგიური რისკების წინაშე და მათი შემცირება ხდება კონტროლის იდენტური პროცედურებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

ქვემოთ მოყვანილია საბალანსო ანგარიშგების კომპონენტების მაქსიმალური საკრედიტო რისკი, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით. მაქსიმალური რისკი ჯამურად არის ნაჩვენები, ურთიერთათვის და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შემცირებამდე.

(ათას ლარში)

**27. რისკების მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

საკრედიტო ვალდებულებების რისკი (გაგრძელება)

	შენიშვნა	მთლიანი მაქსიმალური რისკი 2008	მთლიანი მაქსიმალური რისკი 2007
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროში ფულადი სახსრების ნაშთის გარდა)	7	233,128	312,060
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	8	99,633	154,560
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	2,039,022	1,675,681
მოთხოვნები ფინანსური იჯაროდან	10	41,605	46,674
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:			
-გასაყიდად არსებული	11	33,737	42,387
-დაფარვის ვადამდე შენარჩუნებადი	11	22,845	192,464
		<b>2,469,970</b>	<b>2,423,826</b>
პრობითი ფინანსური ვალდებულებები	22	397,322	208,299
<b>მთლიანი საკრედიტო რისკი</b>		<b>2,867,292</b>	<b>2,632,125</b>

როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი ასახულია სამართლიანი ღირებულებით, ზემოთ ნაჩვენები თანხები წარმოადგენს მიმდინარე საკრედიტო რისკს, თუმცა არა იმ მაქსიმალურ რისკს, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას მომავალში ღირებულებების ცვლილების გამო.

ფინანსური ინსტრუმენტის თითოეული ტიპისათვის, მაქსიმალური საკრედიტო რისკის თაობაზე უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია კონკრეტულ შენიშვნებში. უზრუნველყოფისა და რისკის შემცირების მეთოდების ეფექტი ნაჩვენებია ქვემოთ.

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის მართვა ხდება ჯგუფის შიდა საკრედიტო რეიტინგებით. ქვემოთ მოყვანილია აქტივების ტიპების საკრედიტო ხარისხი, საბალანსო ანგარიშგების სესხებთან დაკავშირებულ მუხლებთან მიმართებაში, ჯგუფის საკრედიტო სისტემაზე დაყრდნობით.

	შენიშვნა	არც გადაგადაცილებული და არც გაუფასურებული				
		მალალი რეიტინგი 2008	სტანდარტ ული რეიტინგი 2008	არასტანდა რტული რეიტინგი 2008	გადაგადაცილე ბული ან ინდივიდუალუ რად გაუფასურებუ ლი 2008	ჯამი 2008
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	8	99,633	—	—	—	99,633
კლიენტებზე გაცემული სესხები:	9					
კორპორაციული სესხები		639,988	112,558	23,428	268,985	1,044,959
სამომხმარებლო სესხები		381,299	42,126	11,576	61,196	496,197
იპოთეკური სესხები		337,445	13,477	1,868	38,816	391,606
მიკრო სესხები		129,666	4,894	5,182	11,571	151,313
ოქროს გირავნობით დატვირთული სესხები		46,374	—	—	—	46,374
სხვა		713	2,514	9,414	2,533	15,174
		<b>1,535,485</b>	<b>175,569</b>	<b>51,468</b>	<b>383,101</b>	<b>2,145,623</b>
მოთხოვნები ფინანსური	10	12,201	2,232	204	29,131	43,768

(ათას ლარში)

იჯარიდან

საინვესტიციო ფასიანი  
 ქაღალდები:

გასაყიდად არსებული დაფარვის ვადამდე შენარჩუნებადი	11	33,737	–	–	–	33,737
	11	22,845	–	–	–	22,845
		<u>56,582</u>	<u>–</u>	<u>–</u>	<u>–</u>	<u>56,582</u>

**სულ**

		<u><b>1,703,901</b></u>	<u><b>177,801</b></u>	<u><b>51,672</b></u>	<u><b>412,232</b></u>	<u><b>2,345,606</b></u>
--	--	-------------------------	-----------------------	----------------------	-----------------------	-------------------------

	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული შენიშვნა	ვადაგადაცილებული ან ინდივიდუალურად გაუფასურებული				სულ 2007
		მაღალი რეიტინგი 2007	სტანდარტული რეიტინგი 2007	არასტანდარტული რეიტინგი 2007	ინდივიდუალურად გაუფასურებული 2007	
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	8	154,560	–	–	–	154,560
კლიენტებზე გაცემული სესხები:	9					
კორპორაციული სესხები		855,112	32,539	110	48,907	936,668
სამომხმარებლო სესხები		242,844	64,561	2,793	20,884	331,082
იპოთეკური სესხები		224,065	7,486	71	4,775	236,397
მიკრო-სესხები		147,052	1,419	59	3,906	152,436
ოქროს გირავენობით დატვირთული სესხები		28,158	–	–	–	28,158
სხვა		2,062	15,849	272	1,686	19,869
		<u>1,499,293</u>	<u>121,854</u>	<u>3,305</u>	<u>80,158</u>	<u>1,704,610</u>
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	10	6,430	2,865	234	37,961	47,490
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:	11					
გასაყიდად არსებული დაფარვის ვადამდე შენარჩუნებადი		42,387	–	–	–	42,387
		192,464	–	–	–	192,464
		<u>234,851</u>	<u>–</u>	<u>–</u>	<u>–</u>	<u>234,851</u>
<b>ჯამი</b>		<u><b>1,895,134</b></u>	<u><b>124,719</b></u>	<u><b>3,539</b></u>	<u><b>118,119</b></u>	<u><b>2,141,511</b></u>

კლიენტებზე გაცემული ვადაგადაცილებული სესხები მოიცავს სესხებს, რომელთა ვადაგადაცილება რამდენიმე დღეს შეადგენს. ქვემოთ მოცემულია ვადაგადაცილებული სესხების ანალიზი ვადიანობის მიხედვით. ვადაგადაცილებული სესხების უმრავლესობა არ მიიჩნევა გაუფასურებულად.

პოლიტიკის შესაბამისად, ჯგუფი უნდა ფლობდეს სათანადო და ზუსტ რისკის რეიტინგებს საკრედიტო პორტფელთან მიმართებაში. აღნიშნული მოითხოვს შესაბამისი რისკების მართვას და საკრედიტო რისკების შედარებას ყველა სახის საქმიანობისათვის, გეოგრაფიული რეგიონებისა თუ პროდუქციისათვის. შეთანხმებული მხარის რისკის გაზომვის მიზნებისთვის, რეიტინგების სისტემა მოიცავს ფინანსურ ანალიზს. შიდა რეიტინგები დაყოფილია კატეგორიებად, ჯგუფის სარეიტინგო პოლიტიკაზე დაყრდნობით. რისკის რეიტინგების შეფასება რეგულარულად ხდება.

საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც ინდივიდუალურად გაუფასურებული, ბანკის მიერ ასე განისაზღვრება:

ფინანსური აქტივი, რომელიც არც 30 დღეზე მეტად ვადაგადაცილებულია და არც ინდივიდუალურად გაუფასურებული, შეფასებულია მაღალი რეიტინგის მქონედ;

ფინანსური აქტივი, რომელიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული საანგარიშგებო თარიღისათვის, მაგრამ ისტორიულად 30 დღეზე მეტად ვადაგადაცილებულად მიიჩნევა, შეფასებულია სტანდარტული რეიტინგის მქონედ;

(ათას ლარში)

**27. რისკების მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით (გაგრძელება)

ფინანსური აქტივი, რომელიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული საანგარიშგებო თარიღისათვის, მაგრამ ისტორიულად 60 დღეზე მეტად ვადაგადაცილებულად მიიჩნევა, ან თუ მსესხებელს გააჩნია დამატებითი 60 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული სესხი საანგარიშგებო თარიღისათვის, შეფასებულია არასტანდარტული რეიტინგის მქონედ.

გადავადებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების ვადიანობის ანალიზი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით შემდეგია

	30 დღეზე ნაკლები 2008	31-დან 60 დღემდე 2008	61-დან 90 დღემდე 2008	90 დღეზე მეტი 2008	ჯამი 2008
მომხმარებლებზე გაცემული სესხები:					
კორპორაციული სესხები	12,107	4,937	6,990	15,118	39,152
მიკრო-სესხები	2,751	270	67	196	3,284
სამომხმარებლო სესხები	21,375	764	336	2,469	24,944
იპოთეკა	6,887	6	–	86	6,979
სხვა	256	712	2,160	3,128	6,256
მოთხოვნები ფინანსური იჯაროდან	–	46	–	24,380	24,426
<b>სულ</b>	<b>43,376</b>	<b>6,735</b>	<b>9,553</b>	<b>45,377</b>	<b>105,041</b>

	30 დღეზე ნაკლები 2007	31-დან 60 დღემდე 2007	61-დან 90 დღემდე 2007	90 დღეზე მეტი 2007	ჯამი 2007
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე:	–	–	–	564	564
კლიენტებზე გაცემული სესხები:					
კორპორაციული სესხები	22,549	1,774	80	4,371	28,774
მიკრო-სესხები	2,175	–	–	–	2,175
სამომხმარებლო სესხები	10,008	58	40	1,180	11,286
იპოთეკა	2,640	47	31	–	2,718
სხვა	567	616	411	–	1,594
მოთხოვნები ფინანსური იჯაროდან	720	34,599	17	867	36,203
<b>სულ</b>	<b>38,659</b>	<b>37,094</b>	<b>579</b>	<b>6,982</b>	<b>83,314</b>

იხილეთ შენიშვნა 9 უფრო დეტალური ინფორმაციისათვის კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის რეზერვთან დაკავშირებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლის პირობებიც ხელახლა შეთანხმებულია

წინამდებარე ცხრილი გვიჩვენებს ხელახლა შეთანხმებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას, ტიპების მიხედვით:

	2008	2007
კლიენტებზე გაცემული სესხები:		
კომერციული სესხები	384,404	10,651
მიკრო-სესხები	5,952	638
სამომხმარებლო სესხები	19,384	3,221



(ათას ლარში)

იპოთეკა	6,193	5,625
სხვა	8,194	762
მოთხოვნები ფინანსური იჯაროდან	3,173	–
<b>სულ</b>	<b>427,300</b>	<b>20,897</b>

**გაუფასურების შეფასება**

სესხის გაუფასურების შეფასებისათვის ძირითადად საჭიროა ინფორმაცია იმის თაობაზე, არის თუ არა ძირითადი თანხა ან პროცენტი 150 დღეზე მეტად გადაგადაცილებული, თუ არსებობს რაიმე სახის ცნობილი სირთულეები შეთანხმებული მხარის ფულად ნაკადებთან მიმართებაში, შემცირდა თუ არა საკრედიტო რეიტინგი ან თუ დაირღვა ხელშეკრულების თავდაპირველი პირობები. გაუფასურების შეფასება ხდება ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვების ან კოლექტიურად შეფასებული რეზერვების გათვალისწინებით.

**ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები**

ჯგუფი თითოეული სესხისათვის ინდივიდუალურად განსაზღვრავს რეზერვს. რეზერვის თანხის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შეთანხმებული მხარის ბიზნეს გეგმა, მისი უნარი გაუმკლავდეს ფინანსურ სირთულეებს ასეთის წარმოშობის შემთხვევაში, გაკატრების შემთხვევაში დაგეგმილი ქმედებები, სხვა ფინანსური სახსრების არსებობა და უზრუნველყოფის სარეალიზაციო ფასი, ასევე, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ვადა. გაუფასურების ზარალის შეფასება ხდება საანგარიშგებო თარიღით, თუ გაუთვალისწინებელი მოვლენები სხვაგვარად არ მოითხოვს.

**კოლექტიურად შეფასებული რეზერვები**

რეზერვების შეფასება კოლექტიურად ხდება იმ სესხებიდან წარმოშობილი ზარალისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის არსებითი (საკრედიტო ბარათების, იპოთეკური სესხისა და უზრუნველყოფის გარეშე სამომხმარებლო სესხების ჩათვლით) და იმ სესხებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად არსებითია, მაგრამ არ არსებობს ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური საფუძველი. რეზერვების შეფასება ხდება საანგარიშგებო თარიღით ყველა ცალკეული პორტფელისათვის.

კოლექტიური შეფასება ითვალისწინებს გაუფასურებას, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს პორტფელში, იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური საფუძველი. გაუფასურების ზარალის შეფასებისას მხედველობაში მიიღება: პორტფელის ისტორიული ზარალი, მიმდინარე ეკონომიკური პირობები, დროის სხვაობა ზარალის წარმოშობასა და მის იდენტიფიცირებას შორის, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის და გაუფასურების შემდგომი ამოღების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს აღნიშულ პერიოდს, რომელმაც შესაძლოა ერთი წელი შეადგინოს. შემდეგ ხდება გაუფასურების რეზერვის გადახედვა საკრედიტო მართვის სამსახურის მიერ, ბანკის ზოგად პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ფინანსური გარანტიებისა და აკრედიტივების შეფასება და რეზერვის შექმნა ხდება სესხების ანალოგიურად.

ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

(ათას ლარში)

**27. რისკების მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

კოლექტიურად შეფასებული რეზერვები (გაგრძელება)

	2008				2007			
	საქართველო	OECD	დსთ და სხვა უცხოური ქვეყნები	ჯამი	საქართველო	OECD	დსთ და სხვა უცხოური ქვეყნები	ჯამი
<b>აქტივები:</b>								
ფული და ფულის ეკვივალენტები მოთხოვნები	153,236	208,997	35,358	397,591	105,393	207,049	93,328	405,770
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	64,081	3,414	32,138	99,633	140,852	609	13,099	154,560
კლიენტებზე გაცემული სესხები მოთხოვნები	2,008,652	-	30,370	2,039,022	1,452,649	-	223,032	1,675,681
ფინანსური იჯარიდან საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	37,405	-	4,200	41,605	46,674	-	-	46,674
- გასაყიდად არსებული	33,420	201	116	33,737	6,234	231	35,922	42,387
- დაფარვის ვადად შენარჩუნებადი	22,845	-	-	22,845	184,201	-	8,263	192,464
ყველა სვა აქტივები	586,214	1,210	37,050	624,474	396,938	17,281	21,856	436,075
	<b>2,905,853</b>	<b>213,822</b>	<b>139,232</b>	<b>3,258,907</b>	<b>2,332,941</b>	<b>225,170</b>	<b>395,500</b>	<b>2,953,611</b>
<b>ვალდებულებები:</b>								
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	129,091	1,080,179	7,452	1,216,722	104,731	791,054	6,010	901,795
ვალდებულებები მესამე მხარეს წინაშე	1,152,244	2,477	38,403	1,193,124	1,085,505	-	269,971	1,355,476
ყველა სხვა ვალდებულება	118,978	7,216	4,018	130,212	116,455	6,673	15,221	138,349
	<b>1,400,313</b>	<b>1,089,872</b>	<b>49,873</b>	<b>2,540,058</b>	<b>1,306,691</b>	<b>797,727</b>	<b>291,202</b>	<b>2,395,620</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>	<b>1,505,540</b>	<b>(876,050)</b>	<b>89,359</b>	<b>718,849</b>	<b>1,026,250</b>	<b>(572,557)</b>	<b>104,298</b>	<b>557,991</b>

**ლიკვიდობის რისკი და დაფინანსების მართვა**

ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს რისკს იმისა, რომ ჯგუფი ვერ დაფარავს მის ფინანსურ ვალდებულებებს ვადის დადგომისას, ჩვეულებრივ თუ რთულ ვითარებაში. აღნიშნული რისკის შემცირების მიზნით, ხელმძღვანელობას მის ძირითად დეპოზიტებთან ერთად გააჩნია სხვადასხვა დაფინანსების წყარო. ჯგუფი ახდენს აქტივების ლიკვიდობასთან მიმართებაში მართვას და სამომავლო ფულადი ნაკადების და ლიკვიდობის ყოველდღიურ მონიტორინგს. აღნიშნული მოიცავს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებას და იმგვარი უზრუნველყოფის არსებობას, რომლის გამოყენებაც, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება დამატებითი დაფინანსებისათვის.

ჯგუფი ფლობს ბაზარზე ფართოდ კოტირებული სხვადასხვა აქტივების პორტფელს, რომელთა ლიკვიდაციაც მარტივად არის შესაძლებელი ფულადი ნაკადების მიზნებისათვის გაუთვალისწინებელ შემთხვევებში. ლიკვიდობის მიზნებისთვის, ჯგუფს შეუძლია კრედიტის გამოყენება. დამატებით, ჯგუფი ფლობს იმგვარ დეპოზიტს (სავალდებულო რეზერვი) სებ-ში, რომლის მოცულობა დამოკიდებულია მოზიდულ სახსრებზე.

(ათას ლარში)

**27. რისკების მართვა (გაგრძელება)**

**ლიკვიდობის რისკი და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)**

ჯგუფის მიერ ლიკვიდობის დონის შეფასება და მართვა ხდება ბანკისადმი დაწესებული ლიკვიდობის კოეფიციენტის საფუძველზე. 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული კოეფიციენტი შემდეგია:

	<b>2008</b>	<b>2007, %</b>
წლის განმავლობაში ლიკვიდობის საშუალო კოეფიციენტი	31.4%	47.5%
ლიკვიდობის მაქსიმალური კოეფიციენტი	48.6%	92.7%
ლიკვიდობის მინიმალური კოეფიციენტი	20.8%	19.5%

ლიკვიდობის საშუალო კოეფიციენტი გამოითვლება სს. საქართველოს ბანკისათვის, როგორც დღიური ლიკვიდობის კოეფიციენტის წლიური საშუალო არითმეტიკული, სებ-ის მიერ განსაზღვრული ლიკვიდური აქტივებისა და ვალდებულებების პროცენტის სახით:

ლიკვიდური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს და სხვა აქტივებს, რომლებიც დაუყოვნებლივ კონვერტირდებიან ფულად სახსრებში. ეს აქტივები ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს, ასევე „სებ“-ის მიერ გაცემულ სადეპოზიტო სერთიფიკატებს (ლიკვიდობის საშუალო კოეფიციენტის დაანგარიშებისას გამოყენებული ვალდებულებების 10%-მდე), საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების გარეშე, ბანკთაშორის დეპოზიტების, და/ან მთავრობების და არა-OECD ქვეყნების ცენტრალური ბანკების სასესხო ფასიანი ქაღალდების, დაყვანილებულ ნოსტრო ანგარიშებზე არსებული თანხების, გაუფასურებული ბანკთაშორის დეპოზიტების, „სებ“-თან სავალდებულო რეზერვზე არსებული თანხების გარდა, რომლებიც დაგირავებულია „სებ“-იდან მიღებული სესხების გამო.

ვალდებულებები - მოიცავს საერთო ვალდებულებების თანხას და გარეგანსურ ვალდებულებებს, რომლებიც არ მოიცავს სუბორდინირებულ სესხებს. იმ ვალდებულებებს, რომლებიც დაფარულ უნდა იქნას ანგარიშგების თარიღიდან ექვსი თვის ვადაში, ფინანსურ გარანტიებს და აკრედიტივებს, რომლებიც სრულად არის უზრუნველყოფილი ფულადი სახსრებით ბანკში, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან გამომდინარე ვალდებულებებს. ლიკვიდობის კოეფიციენტის მაქსიმალური და მინიმალური განაკვეთები აღებულია სათანადო საანგარიშგებო წლების ისტორიული მონაცემებიდან.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის პარამეტრები 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვების ვალდებულებაზე დაყრდნობით. დაფარვებისათვის, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, მოიაზრება, რომ შეტყობინება მყისიერად მოხდა. თუმცა, ბანკი ელის, რომ მეანაბრეთა უმეტესი ნაწილი არ მოითხოვს დაფარვას ყველაზე ადრეული შესაძლო თარიღით და ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, როგორც ეს ნაჩვენებია ბანკის დეპოზიტის მომსახურების ისტორიაში.

<b>ფინანსური ვაკდებულებები</b> 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<b>3 თვეზე</b>	<b>3-დან 12</b>	<b>1-დან 5</b>	<b>5 წლის</b>	<b>სულ</b>
	<b>ნაკლები</b>	<b>თვემდე</b>	<b>წლამდე</b>	<b>განმავლობაში</b>	
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	291,471	131,625	922,928	259,148	1,605,172
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	869,050	266,412	74,947	4,712	1,215,121
გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები და სხვა ვალდებულებები	1,373	90	5	-	1,468
<b>მთლიანი არა-დისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>1,161,894</b>	<b>398,127</b>	<b>997,880</b>	<b>263,860</b>	<b>2,821,761</b>

(ათას ლარში)

**27. რისკების მართვა (გაგრძელება)**

**ლიკვიდობის რისკი და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)**

ფინანსური ვალდებულებები 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის განმავლობაში	ჯამი
ვალდებულებები მეანბრეთა წინაშე	1,006,758	302,902	77,374	3,785	1,390,819
გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები და სხვა ვალდებულებები	5,130	4,153	4,220	149	13,652
<b>მთლიანი არა- დისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>1,140,309</b>	<b>499,269</b>	<b>760,723</b>	<b>205,666</b>	<b>2,605,967</b>

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ჯგუფის პირობითი ფინანსური ვალდებულებების საკონტრაქტო ვადები:

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის განმავლობაში	ჯამი
2008	187,311	94,245	166,843	23,627	472,026
2007	85,305	76,578	55,364	18,429	235,676

ჯგუფი არ ელის, რომ ყველა პირობითი ვალდებულება იქნება დაფარული ვადის ამოწურვამდე.

ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. ისტორიულად, მათი ლიკვიდაცია უფრო გრძელვადიან პერიოდში მოხდა, ვიდრე ეს ნაჩვენებია ცხრილებში ზემოთ. აღნიშნული ნაშთები ჩართულია 3 თვეზე ნაკლები ვადის მქონე ვალდებულებებში.

მეანბრეთა წინაშე ვალდებულებებში ჩართულია ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკმა ამგვარი დეპოზიტი უნდა დაფაროს დეპოზიტორის მოთხოვნისას. იხილეთ შენიშვნა 20.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილების შედეგად, რაც გამოწვეულია საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო კურსის და კაპიტალის ფასთა რყევით. ჯგუფი საბაზრო რისკს ყოფს სავაჭრო ან არასავაჭრო პორტფელებთან მიმართებაში. მათი მართვა და მონიტორინგი ხდება მგრძობელობის ანალიზის გამოყენებით. უცხოური ვალუტის კონცენტრაციის გარდა, ჯგუფს არ გააჩნია საბაზრო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების მერყეობის რისკი, სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. წინამდებარე ცხრილში აღწერილია საპროცენტო განაკვეთების გონივრული შესაძლო ცვლილებების მგრძობელობა, მაშინ, როდესაც ყველა სხვა კომპონენტი უცვლელია, ჯგუფის მოგება-ზარალის ანგარიშგებასთან მიმართებაში.

(ათას ლარში)

**27. რისკების მართვა (გაგრძელება)**

**საბაზრო რისკი (გაგრძელება)**

*სავალუტო რისკი (გაგრძელება)*

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძობელობა წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთების სავარაუდო ცვლილებების გავლენას ერთი წლის წინდა საპროცენტო შემოსავალზე, ცვალებადი განაკვეთის მქონე არასავაჭრო ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე დაყრდნობით, 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კაპიტალის მგრძობელობა გამოითვლება ფიქსირებული განაკვეთის მქონე გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების გადაფასებით 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო განაკვეთების სავარაუდო ცვლილებების გავლენის გამოსავლენად, იმ დაშვებით, რომ წრფივი პარალელურად შეიცვლება. 2008 და 2007 წლებში, მგრძობელობის ანალიზმა არ გამოავლინა მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენა ჯგუფის კაპიტალზე.

<i>ვალუტა</i>	<i>საბაზისო პუნქტის ზრდა</i>	<i>წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა</i>	<i>კაპიტალის მგრძობელობა</i>
	<i>2008</i>	<i>2008</i>	<i>2008</i>
გრივნა	0.75%	–	72
ევრო	1.50%	79	–
აშშ დოლარი	0.55%	3,434	–

<i>ვალუტა</i>	<i>საბაზისო პუნქტის კლება</i>	<i>წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა</i>	<i>კაპიტალის მგრძობელობა</i>
	<i>2008</i>	<i>2008</i>	<i>2008</i>
გრივნა	-1.25%	–	(121)
ევრო	-1.50%	(79)	–
აშშ დოლარი	-0.55%	(3,434)	–

<i>ვალუტა</i>	<i>საბაზისო პუნქტის ზრდა</i>	<i>წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა</i>	<i>კაპიტალის მგრძობელობა</i>
	<i>2007</i>	<i>2007</i>	<i>2007</i>
გრივნა	0.75%	–	267
ევრო	0.75%	(71)	–
აშშ დოლარი	0.75%	(3,097)	–

<i>ვალუტა</i>	<i>საბაზისო პუნქტის კლება</i>	<i>წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა</i>	<i>კაპიტალის მგრძობელობა</i>
	<i>2007</i>	<i>2007</i>	<i>2007</i>
გრივნა	-1.25%	–	(445)
ევრო	-1.50%	142	–
აშშ დოლარი	-1.25%	5,393	–

სავალუტო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი, სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. მმართველმა საბჭომ დააწესა ლიმიტები განთავსებულ სახსრებზე ვალუტების მიხედვით, სეპ-ის ინსტრუქციებზე დაყრდნობით, ხოლო აღნიშნულის მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება.

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ჯგუფის არასავაჭრო ფულადი აქტივები და ვალდებულებები და დაგეგმილი ფულადი ნაკადები, ძირითად ვალუტებში, 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილში გაანგარიშებულია ვალუტების გონივრული შესაძლო დინამიკის ეფექტი ლართან მიმართებაში, მაშინ როდესაც მოგება-ზარალის ანგარიშგების ყველა სხვა კომპონენტი უცვლელი რჩება (ვალუტისადმი მგრძობიარე არასავაჭრო ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო). ეფექტი კაპიტალზე არ განსხვავდება ეფექტისაგან მოგება-

(ათას ლარში)

**27. რისკების მართვა (გაგრძელება)**

**საბაზრო რისკი (გაგრძელება)**

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ზარალის ანგარიშგებაზე. უარყოფითი თანხები ცხრილში ასახავს პოტენციურ წმინდა კლებას კაპიტალსა თუ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მაშინ როდესაც დადებითი თანხები ასახავს პოტენციურ წმინდა მატებას.

გალუბა	ცვლილება საპროცენტო განაკვეთში			ცვლილება საპროცენტო განაკვეთში		
	%-ში 2008	ზემოქმედება შემოსავალზე დაბეგვრამდე 2008	ზემოქმედება კაპიტალზე 2008	%-ში 2007	ზემოქმედება შემოსავალზე დაბეგვრამდე 2007	ზემოქმედება კაპიტალზე 2007
ევრო	14.9%	(832)	—	4.6%	104	—
ფუნტი	24.9%	17	—	5.0%	(137)	—
რუბლი	0.3%	(6)	—	0.1%	24	—
გრივნა	2.8%	8	—	0.7%	(38)	—
აშშ	9.2%	(1,216)	—	3.5%	(2,450)	—
დოლ.						

წინასწარი გადახდების რისკი

წინასწარი გადახდების რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, როდესაც ჯგუფის კლიენტები ან კონტრაგენტები იხდიან, ან თხოულობენ გადახდას მოსალოდნელ პერიოდზე ადრე ან გვიან, მაგალითად, ფიქსირებული განაკვეთის იპოთეკა საპროცენტო განაკვეთების შემცირების შემთხვევაში.

ჯგუფი იყენებს რეგრესიის მოდელებს, რათა დაგეგმოს სააგანსო გადახდის ცვალებადი დონეების ზემოქმედება მის წმინდა საპროცენტო შემოსავალზე. მოდელი განასხვავებს გადახდის სხვადასხვა მიზეზებს (მაგ. თანხების განაწილება, დაფინანსება და განმეორებით მოლაპარაკება) და ითვალისწინებს ნებისმიერი სააგანსო გადახდის ჯარიმების ზემოქმედებას. მოდელი შემოწმებულია ფაქტიურ შედეგებთან მიმართებაში.

ერთი წლისთვის მოგებაზე (ზარალზე) ზემოქმედება, გადასახადი დაქვითვამდე, ასევე კაპიტალზე ზემოქმედება შემდეგია:

	ზემოქმედება წმინდა საპროცენტო შემოსავალზე	ზემოქმედება კაპიტალზე
2008	(34,546)	
2007	(36,527)	—

**საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკიდან წარმოშობილი ზარალი გამოძინარეობს სისტემების მწყობრიდან გამოსვლიდან, მექანიკური შეცდომებიდან, თაღლითობიდან თუ სხვა გარეშე ფაქტორებიდან. სათანადო კონტროლის არარსებობის შემთხვევაში, საოპერაციო რისკმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს რეპუტაციაზე, გამოიწვიოს იურიდიული სანქციები ან ფინანსური ზარალი. ბანკის მიერ ყველა საოპერაციო რისკის აღმოფხვრა არ იქნება შესაძლებელი, თუმცა ეფექტური იქნება, თუ ბანკი მართავს რისკებს კონტროლის სისტემისა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და რეაგირების მეშვეობით. კონტროლის სისტემა შიდა აუდიტის გამოყენებასთან ერთად უნდა მოიცავდეს მოვალეობათა სათანადოდ განაწილებას, ხელმისაწვდომობის, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურებს, თანამშრომელთა სწავლებისა და შეფასების პროცესებს.

(ათას ლარში)

**27. რისკების მართვა (გაგრძელება)**

**საოპერაციო გარემო**

როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არ გააჩნია ძლიერ განვითარებული ბიზნესისა და მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა, რომელიც, როგორც წესი, ახასიათებს უფრო მომწიფებულ საბაზრო ეკონომიკას. საქართველოში ოპერირება დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, როგორც წესი, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (იმ რისკის ჩათვლით, რომ ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას ქვეყნის გარეთ, ასევე მხედველობაშია მისაღები განუვითარებელი სასესხო და კაპიტალის ბაზრები). ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმებთან მიმართებაში. აღნიშნული გულისხმობს საკანონმდებლო სიახლეებს (ახალი საგადასახადო კოდექსი და საპროცესო კანონმდებლობა). ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ხელს უწყობს საქართველოში ბიზნეს რისკების შემცირებას.

აღნიშნული ტენდენცია მიზნად ისახავს არსებული ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო სტაბილურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზემოთხსენებულ რეფორმებზე და საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ფინანსური თუ ეკონომიკური ზომების ეფექტურობაზე. თუმცა, საქართველოს ეკონომიკა მგრძობიარეა მსოფლიოში საბაზრო და ეკონომიკური პირობების გაუარესების მიმართ. წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა რიგ მოვლენებს, რომლებმაც გავლენა იქონიეს ბანკის ოპერაციებზე – 2008 წლის სამხედრო კონფლიქტი, რომელშიც ჩაბმულნი იყვნენ საქართველო, რუსეთის ფედერაცია და სამხრეთ ოსეთი, ასევე ფინანსური კრიზისი, რომელმაც მსოფლიო ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონია 2008 წლის ბოლო კვარტლიდან. იმის მიუხედავად, რომ ჯგუფს არ მიაღია პირდაპირი ზიანი სამხედრო კონფლიქტის დროს, ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვნად დააზარადა საქართველოს ეკონომიკა და გამოიწვია Fitch-ის და S&P-ს მიერ ქვეყნისთვის მინიჭებული რეიტინგის შემცირება. მიმდინარე გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა და სამხედრო კონფლიქტმა გამოიწვია კაპიტალის ბაზრების არასტაბილურობა, საბანკო სექტორში ლიკვიდობის დონის შემცირება და საკრედიტო პირობების გაუარესება საქართველოში. საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა რიგი ზომებისა, რომლებიც მიმართულია კრედიტუნარიანობისა და ლიკვიდობის დონის შენარჩუნებისკენ, ასევე საქართველოში ბანკებისა და კომპანიებისათვის უცხოური სესხების რეფინანსირების ხელშეწყობისკენ.

თუმცა ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ის ღებულობს სათანადო ზომებს მიმდინარე პირობებში ბანკის საქმიანობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის, მოულოდნელმა სამომავლო ნეგატიურმა ცვლილებებმა ზემოთაღნიშნულ ასპექტებთან მიმართებაში, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის შედეგებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე ისეთი სახით, რომლის განსაზღვრაც ამჟამად ვერ ხერხდება.

**28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება**

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინსტრუმენტების შედარებითი ანალიზი საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების მიხედვით. ცხრილი არ ასახავს არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას.

	საბალანსო ღირებულება 2008	სამართლიანი ღირებულება 2008	უღიარებელი ზარალი 2008	საბალანსო ღირებულება 2007	სამართლიანი ღირებულება 2007	უღიარებელი ზარალი 2007
<b>ფინანსური აქტივები</b>						
ფული და ფულის ეკვივალენტები	397,591	397,591	–	405,770	405,770	–
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	99,633	99,633	–	154,560	154,560	–
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,039,022	1,991,449	(47,573)	1,675,681	1,675,681	–
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	41,605	41,605	–	46,674	46,674	–

(ათას ლარში)

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები						
- გასაყიდად არსებული	33,737	33,737	-	42,387	42,387	-
- დაფარვის ვადაძლე						
შენარჩუნებადი	22,845	22,845	-	192,464	191,572	(892)
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,216,722	1,216,722	-	901,795	901,795	-
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,193,124	1,201,746	(8,622)	1,355,476	1,355,476	-
გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები	5	5	-	4,993	4,993	-
<b>გაუნაწილებელი სამართლიანი ღირებულების მთლიანი უღიარებელი ცვლილება</b>			<b>(56,195)</b>			<b>(892)</b>

ქვემოთ აღწერილია იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია და დაშვებები, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით.

**აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას**

ლიკვიდური ან მოკლევადიანი (სამ თვეზე ნაკლები) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისათვის მიიჩნევა, რომ მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებას. აღნიშნული დაშვება ასევე ძალაშია მოთხოვნამდე დეპოზიტებისათვის, შემნახველი ანგარიშებისათვის კონკრეტული ვადის გარეშე და ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისათვის.

**ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები**

ამორტიზებული ღირებულებით ასახული, ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება გამოითვლება თავდაპირველი აღიარებისას ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარებით მათ მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთებთან. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს, აქტიური ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით სესხებისათვის, რომელთაც გააჩნიათ ანალოგიური საკრედიტო რისკები და ვადა. კოტირებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის, სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება ხდება კოტირებული საბაზრო ფასდადებით. იმ გამოშვებული თამასუქებისათვის, რომელთათვისაც არ არსებობს კოტირებული საბაზრო ფასი, გამოიყენება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის წრფივზე დაყრდნობით, რომელიც მიესადაგება ნარჩენ ვადას.

წინამდებარე ცხრილში ნაჩვენებია სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული იმ ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი, რომელთა სამართლიანი ღირებულება ეფუძნება კოტირებულ საბაზრო ფასს და რომელთა სამართლიანი ღირებულება ეფუძნება შეფასების მოდელს საბაზრო და არასაბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით.

კოტირებული საბაზრო ფასი 2008	შეფასების მეთოდი - საბაზრო მონაცემები 2008	შეფასების მეთოდი - არასაბაზრო მონაცემები 2008	ჯამი 2008
---------------------------------------	---	---	--------------

**ფინანსური აქტივები**

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	17,644	16,093	-	33,737
- გასაყიდად არსებული				



(ათას ლარში)

სხვა აქტივები – საკუთარი სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	92	–	–	92
	<b>17,736</b>	<b>16,093</b>	<b>–</b>	<b>33,829</b>

კოტირებული საბაზრო ფასი 2007	შეფასების მეთოდი – საბაზრო მონაცემები 2007	შეფასების მეთოდი – არასაბაზრო მონაცემები 2007	ჯამი 2007
------------------------------------	---	--	--------------

**ფინანსური აქტივები**

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები – გასაყიდად არსებული	36,770	5,617	–	42,387
სხვა აქტივები – საკუთარი სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	6,342	–	–	6,342
	<b>43,112</b>	<b>5,617</b>	<b>–</b>	<b>48,729</b>

**29. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, იმის მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. ჯგუფის საკონტრაქტო არა-დისკონტირებულ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით, იხილეთ შენიშვნა 27 „რისკების მართვა“.

	2008			2007		
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ	სულ	ერთი წლის განმავლობა ში	ერთ წელზე მეტ	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>						
ფული და ფულის ეკვივალენტები მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	397,591	–	397,591	405,770	–	405,770
კლიენტებზე გაცემული სესხები მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	87,205	12,428	99,633	153,893	667	154,560
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები – გასაყიდად არსებული	897,167	1,141,855	2,039,022	929,246	746,435	1,675,681
– დაფარვის ვადამდე შენარჩუნებადი	33,375	8,230	41,605	31,225	15,449	46,674
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები – გასაყიდად არსებული	33,737	–	33,737	7,787	34,600	42,387
– დაფარვის ვადამდე შენარჩუნებადი	22,845	–	22,845	176,466	15,998	192,464
<b>სულ</b>	<b>1,471,920</b>	<b>1,162,513</b>	<b>2,634,433</b>	<b>1,704,387</b>	<b>813,149</b>	<b>2,517,536</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	402,094	814,628	1,216,722	146,815	754,980	901,795
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები და სხვა	1,124,598	68,526	1,193,124	1,280,911	74,565	1,355,476
	1,463	5	1,468	9,283	4,369	13,652
<b>სულ</b>	<b>1,528,155</b>	<b>883,159</b>	<b>2,411,314</b>	<b>1,437,009</b>	<b>833,914</b>	<b>2,270,923</b>
<b>წმინდა</b>	<b>(56,235)</b>	<b>279,354</b>	<b>223,119</b>	<b>267,378</b>	<b>(20,765)</b>	<b>246,613</b>

ჯგუფის მიერ ვალდებულებების ვადის დადგომისას დაფარვის უნარი დამოკიდებულია აქტივების ეკვივალენტური ოდენობის რეალიზაციის შესაძლებლობაზე. საქართველოს ბაზარზე მრავალი მოკლევადიანი სესხი გაიცა ვადის დადგომისას მათი განახლების ვარაუდით. შესაბამისად, აქტივების საბოლოო ვადა შესაძლოა განსხვავდებოდეს ზემოაღნიშნული ანალიზისაგან. გარდა ამისა, არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია ისტორიულად უფრო გრძელვადიან

(ათას ლარში)

**29. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)**

პერიოდში მოხდა, ვიდრე ეს ნაჩვენებია ცხრილში ზემოთ. ეს ნაშთები შესულია თვეზე ნაკლებ ვადაში გადასახდელ თანხებში ზემოთ.

ჯგუფის ლიკვიდობის ძირითადი წყაროებია:

- დეპოზიტები;
- გაცემული სესხი;
- ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებული შემოსავალი;
- ბანკთაშორის სადეპოზიტო ხელშეკრულებები;
- სესხის ძირითადი თანხის დაფარვა;
- საპროცენტო მოგება; და
- საგადასახადო და საკომისიო შემოსავალი.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დეპოზიტებმა შეადგინა 1,193,124 ლარი (2007: 1,355,476 ლარი) და წარმოადგინა ჯგუფის მთლიანი ვალდებულებების 47% (2007: 57%). ამგვარი სესხები კვლავაც უზრუნველყოფს ჯგუფის დაფინანსების უმეტეს ნაწილს, როგორც სტაბილური დაფინანსების წყარო. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულებები სხვა საკრედიტო დაწესებულებების წინაშე შეადგენს 1,216,722 ლარს (2006: 901,795 ლარი) და წარმოადგენს მთლიანი ვალდებულებების 48% (2007: 38%).

ხელმძღვანელობის აზრით, ლიკვიდობა საკმარისია ჯგუფის მიმდინარე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**30. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები**

ბასს 24-ის “დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები” შესაბამისად, მხარეები დაკავშირებულად მიაჩნებიან, თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ფინანსური თუ საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებასთან მიმართებაში. დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის განსაზღვრისას, ყურადღება ექცევა არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას, არამედ ურთიერთობის შინაარსსაც.

დაკავშირებული მხარეები შესაძლოა აწარმოებდნენ ოპერაციებს, რომლებსაც მხარეები ჩვეულებრივ არ აწარმოებენ და მათ შორის ოპერაციების პირობები და თანხები შესაძლოა განსხვავდებოდეს ჩვეულებრივ მხარეებს შორის არსებული ოპერაციებისგან.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების დინამიკა, წლის ბოლოს დასაფარი ნაშთები და წლის შემოსავალი და ხარჯი შემდეგია:

	2008			2007		
	მშობელი კომპანია	მოკავშირე საწარმოები	ზედა რგოლის მმართველი პერსონალი	მშობელი კომპანია	მოკავშირე საწარმოები	ზედა რგოლის მმართველი პერსონალი
<b>სესხები 1 იანვარს, ჯამური</b>	–	13,274	510	–	6,010	312
წლის მანძილზე გამოშვებული სესხები	1,339	12,085	8,229	–	14,237	507
სესხის დაფარვა წლის მანძილზე	(1,074)	(9,709)	(3,375)	–	(6,649)	(299)
სხვა ოპერაციები	–	5,994	208	–	–	–
<b>სესხები 31 დეკემბერს, ჯამური</b>	<b>265</b>	<b>21,644</b>	<b>5,572</b>	<b>–</b>	<b>13,598</b>	<b>520</b>
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრისათვის		(3,181)	(1,064)		(324)	(10)
<b>სესხები 31 დეკემბერს, წმინდა</b>	<b>265</b>	<b>18,463</b>	<b>4,508</b>	<b>–</b>	<b>13,274</b>	<b>510</b>
საპროცენტო შემოსავალი სესხებზე	–	2,125	468	–	1,102	58
სესხის გაუფასურების დანარცხი	–	3,099	120	–	139	4

(ათას ლარში)

	2008			2007		
	მშობელი კომპანია	მოკავშირე საწარმოები	ზედა რგოლის მმართველი პერსონალი	მშობელი კომპანია	მოკავშირე საწარმოები	ზედა რგოლის მმართველი პერსონალი
<b>დეპოზიტები 1 იანვრისთვის</b>	<b>12,733</b>	<b>4,485</b>	<b>626</b>	<b>11,281</b>	<b>2,944</b>	<b>7,252</b>
წლის მანძილზე მიღებული დეპოზიტები	-	79,356	53,081	1,452	95,488	12,038
წლის მანძილზე გადახდილი დეპოზიტები	-	(83,638)	(35,450)	-	(93,947)	(18,664)
სხვა ოპერაციები	-	(26)	67	-	-	-
<b>დეპოზიტები 31 დეკემბრისთვის</b>	<b>12,733</b>	<b>177</b>	<b>18,324</b>	<b>12,733</b>	<b>4,485</b>	<b>626</b>
<b>მიმდინარე ანგარიშები 31 დეკემბრისთვის</b>						
საპროცენტო ხარჯი დეპოზიტებზე	-	2	14	746	178	97
სხვა შემოსავალი	767	-	32	-	-	852

ზედა რგოლის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება მოიცავს:

	2008	2007
ხელფასები და სხვა ანაზღაურებები	9,975	16,104
- მათ შორის, გათავისუფლების კომპენსაცია	10	4,876
წილის შესაბამისი გადახდები	7,820	8,992
- მათ შორის, გათავისუფლების კომპენსაცია	-	1,944
სოციალური გადასახადი	94	4,124
პერსონალის დაქირავების ხარჯი	28	20
<b>ზედა რგოლის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება სულ</b>	<b>17,917</b>	<b>29,240</b>

ზედა რგოლის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 105 (2007: 70).

### 31. კაპიტალის ადეკვატურობა

ჯგუფი მართავს კაპიტალს ბიზნესთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით. ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტებით და Basel Capital Accord 1988.

გასულ წელს, ბანკი და ჯგუფი მთლიანად შესაბამისობაში იყო კაპიტალის ადეკვატურობის დადგენილ მოთხოვნებთან.

ჯგუფის კაპიტალის მართვის ძირითადი მიზანია, კაპიტალის ადეკვატურობის გარე მოთხოვნებთან ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფა და მაღალი საკრედიტო რეიტინგისა და ჯანსაღი კაპიტალის განაკვეთების შენარჩუნება, რაც უზრუნველყოფს ბიზნესისა და აქციონერთა წარმატებას.

ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური პირობებისა და მისი საქმიანობის რისკ ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაზარდოს კაპიტალი აქციების გამოშვების გზით. წინა წლებში ჯგუფის მიზნები, სტრატეგია და პროცედურები არ შეცვლილა.

### სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით, ბანკი ვალდებულია შეინარჩუნოს კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური განაკვეთი, რისკით შეწონილი აქტივების 12%-ის ოდენობით, რაც გამოითვლება სებ-ის აქტივების შესაბამისად მომზადებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ

(ათას ლარში)

**32. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)**

**სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (გაგრძელება)**

ანგარიშგებაზე დაყრდნობით. 2008 და 2007 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შემდეგია:

	<u>2008</u>	<u>2007</u>
ძირითადი კაპიტალი	573,146	368,959
დამატებითი კაპიტალი	162,902	162,867
გამოკლებული: დაქვითვები კაპიტალიდან	(269,427)	(166,230)
<b>მთლიანი მარეგულირებელი კაპიტალი</b>	<b>466,621</b>	<b>365,596</b>
<b>რისკით შეწონილი აქტივები</b>	<b>3,458,133</b>	<b>2,796,443</b>
<b>სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი</b>	<b>13.5%</b>	<b>13.1%</b>

საზედამხედველო კაპიტალი შედგება ძირითადი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, დამატებით შეტანილ კაპიტალს, გაუნაწილებელ მოგებას, მიმდინარე წლის შემოსულობის ჩათვლით, უცხოური ვალუტის გადაყვანას და უმცირესობის წილს დარიცხული დივიდენდების გამოკლებით, კუთვნილი აქციების წმინდა გრძელ პოზიციას და გუდვილს. ფასს-ს შესაბამისმა შედეგებმა და რეზერვებმა განიცადა გარკვეული კორექტირება, როგორც ეს გაწერილია სებ-ის მიერ. საზედამხედველო კაპიტალის კიდევ ერთი კომპონენტია მეორადი კაპიტალი, რომელიც მოიცავს სუბორდინირებულ გრძელვადიან სესხსა და გადაფასების რეზერვს.

**კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი Basel Capital Accord 1988-ის შესაბამისად**

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, რომელიც დაანგარიშებულია Basel Capital Accord 1988-ის მიხედვით, შესაბამისი ცვლილებებით საბაზრო რისკების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, 2008 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგია:

	<u>2008</u>	<u>2007</u>
პირველადი კაპიტალი	651,826	464,516
მეორადი კაპიტალი	232,840	159,914
გამოკლებული: გამოქვითვები კაპიტალიდან	(249,373)	(214,615)
<b>მთლიანი მარეგულირებელი კაპიტალი</b>	<b>635,293</b>	<b>409,815</b>
<b>რისკით შეწონილი აქტივები</b>	<b>2,560,696</b>	<b>1,859,330</b>
მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტი	24.8%	22.0%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	25.5%	25.0%
<b>კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი</b>	<b>8%</b>	<b>8%</b>

**33. საბალანსო ანგარიშგების მომზადების შემდგომი გარემოებები**

2009 წლის 1 კვარტალში, ბანკმა მიიღო გრძელვადიანი დაფინანსება უზრუნველყოფის გარეშე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან („ერგბ“) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისაგან („სსკ“), რომლის მთლიანი ნომინალური ღირებულებაც 200 მილიონი აშშ დოლარი, და შედგება შემდეგი სახსრებისგან:

**„სსკ“-ს დაფინანსება**

- 50 მილიონი აშშ დოლარის ძირითადი სესხი LIBOR + 5.5% წლიური საპროცენტო განაკვეთი და 55 თვის ვადა;
- 24 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებული სესხი LIBOR + 10% წლიური საპროცენტო განაკვეთი და 120 თვის ვადა; და

(ათას ლარში)

**33. საბალანსო ანგარიშგების მომზადების შემდგომი გარემოებები (გაგრძელება)**

**„სსკ“-ს დაფინანსება (გაგრძელება)**

- 26 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებული, კონვერტირებადი სესხი LIBOR + 8% წლიური საპროცენტო განაკვეთი და 120 თვის ვადა;

**„ერგბ“-ს დაფინანსება**

- 50 მილიონი აშშ დოლარის ძირითადი სესხი LIBOR + 5.5% წლიური საპროცენტო განაკვეთი და 61 თვის ვადა;
- 24 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებული სესხი LIBOR + 10% წლიური საპროცენტო განაკვეთი და 120 თვის ვადა; და
- 26 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებული, კონვერტირებადი სესხი LIBOR + 8% წლიური საპროცენტო განაკვეთი და 120 თვის ვადა;